პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
კვირა
20
დეკემბერი
№ 292 (18234)
ფასი 2 კაპ.

ჩვენი პლანეტის მილიონობით ადამიანმა, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, წრფელი, გულის სიღრმიდან მომავალი სიტყვებით გამოხატა თავიანთი დიდი პატივისცემა და ულრმესი მადლიერება საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, ლენინის დიადი საქმის ერთგული განმგრძობის, ქვეყნად მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის მგზნებარე მებრძოლის ამხანაგ **ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისადმი.**

სურათზე: ჯილდოს გადაცემის დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე უთვალსაჩინოესი დამსახურებისათვის

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გადაეცა სამშობლოს უმაღლესი ჯილდო

19 დეკემბერს კრემლის დიდ სასახლეში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს საზეიმო ვითარებაში გადაეცა საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი და საბჭოთა კავშირის გმირის „ოქროს ვარსკვლავის" მედალი.

ჯილდო გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა.

ჯილდოს გადაცემისას იყვნენ ამხანაგები ი. ვ. ანდროპოვი, მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, დ. ა. კუნაევი, ა. ი. პელშე, გ. ვ. რომანოვი, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, კ. უ. ჩერნენკო, ვ. ვ. შჩერბიცკი, გ. ა. ალიევი, პ. ნ. დემიჩევი, ტ. ი. კისელიოვი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, შ. რ. რაშიდოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. ვ. რუსაკოვი.

დარბაზში იყვნენ მოსკოვს ჩამოსული სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელები — ამხანაგები იანოშ კადარი, ტოდორ ჟივკოვი, ნიკოლაე ჩაუშესკუ, იუმჟაგიინ ცედენბალი, ერიხ ჰონეკერი, გუსტავ ჰუსაკი.

ჯილდოს გადაცემისას სიტყვა წარმოთქვა ამხ. მ. ა. სუსლოვმა.

ამხანაგ მ. ა. სუსლოვის სიტყვა

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ! დღეს ჩვენ, თქვენი თანამოსაგრენი და მეგობრები, პარტიასთან, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აღვნიშნავთ თქვენი სახელოვანი სამოცდათხუთმეტი წლის იუბილეს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებაში გამოხატული გრძნობები და აზრები ყველა საბჭოთა ადამიანის გრძნობები და აზრებია.

პლანეტის მილიონობით ადამიანის წრფელი, გულის სიღრმიდან მომავალი პატივისცემისა და ღრმესი მადლიერების სიტყვებით მოგმართავენ თქვენ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, ლენინის უკვდავი საქმის ერთგულ განმგრძობს, ქვეყნად მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის მგზნებარე მებრძოლს.

გაუზვიადებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელი თქვენი ცხოვრება არის ცხოვრება პარტიასთან ერთად, ხალხთან ერთად, ცხოვრება ხალხისათვის. ქარხნის საამქრო, გლეხის ყანა — აი ის მისამართები, სადაც თქვენ ცხოვრების მეცნიერებას ეზიარეთ, სადაც თქვენთვის ღვიძლი გახდა მშრომელთა აზრები და მისწრაფებები. მიწათმომწყობი, მეტალურგი ინჟინერი, საბჭოთა პარტიული მუშაკი — აი თქვენი მდიდარი შრომითი ბიოგრაფიის ღირსშესანიშნავი ნიშანსვეტები. ომით დანგრეული მეურნეობის აღდგენა, ყამირის უკიდეგანო სივრცეების გატეხა და ათვისება, გრანდიოზული კოსმოსური ეპოპეის განხორციელება — ყველა ამ საგმირო საქმეში უშუალოდ მონაწილეობდით თქვენ, მათში ჩააქსოვეთ თქვენი გულის მგზნებარება, შემოქმედებითი ენერგია, დიდი ხელმძღვანელის ბრწყინვალე ნიჭი.

თქვენ, როგორც მებრძოლმა მეთაურმა და პოლიტმუშაკმა, დიდი წვლილი შეიტანეთ ჰიტლერული ფაშიზმის განადგურებაში, გაიარეთ დიდი სამამულო ომის ძნელი მხედრული გზა თავიდან ბოლომდე. თქვენ დღესაც ჯარისკაცი ხართ, დღესაც დგახართ სამშობლოს დამცველთა მწყობრში. როგორც საბჭოთა კავშირის მარშალი, სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, თქვენ ყოველდღიურად ხელმძღვანელობთ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, მშვიდობისა და სოციალიზმის მონაპოვართა სადარაჯოზე საიმედოდ მდგომი შეიარაღებული ძალების მშენებლობას.

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, სადაც უნდა გაგემწესებინეთ პარტიას, თქვენ ყველგან თავდადებით იბრძოდით მისი დიადი საქმისათვის. თქვენ, რომელიც ჩვენი ლენინური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მეთაურობთ და უმაღლესი სახელმწიფო პოსტი გიჭირავთ, ყველაფერს ღონობთ, რათა მომწიფებული სოციალიზმის საზოგადოება მტკიცედ მიაბიჯებდეს ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის განვითარების მწვერვალებისაკენ, რათა მტკიცდებოდეს ქვეყნის ერებისა და ეროვნებების მეგობრობა.

შემოქმედებითი აღმშენებლობითი შრომის ატმოსფეროს შექმნა, რაშიც თქვენ უდავოდ მიგიძღვით ღვაწლი, გახდა საზოგადოებრივი პროცესების დინამიზმის, იმ დიდი მიღწევების მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომლებიც ქვეყნის განვითარებას ახასიათებს უკანასკნელი ხუთწლედების მანძილზე. პარტიისა და პირადად თქვენ მიერ დასახული სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების ამოცანები საბჭოთა ადამიანებმა თავიანთ ღვიძლ საქმედ აღიქვეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თანამედროვე ეტაპის სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკა, რომელიც თქვენი ხელმძღვანელობით შემუშავდა და ხორციელდება, საბჭოთა ხალხის ძირეულ, სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამება. ეს პოლიტიკა შთააგონებს საბჭოთა ადამიანებს, რაზმავს მათ ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის. პარტიის კურსი, რომლის მიზანია დააკმაყოფილოს მშრომელთა მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი და რომელმაც კონკრეტულად შეისხა ხორცი პარტიის XXIII, XXIV, XXV ყრილობების გადაწყვეტილებებით, შემდგომში ღრმად დამუშავდა სკკპ XXVI ყრილობაზე, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმაში. ადამიანის კეთილდღეობისათვის ზრუნვა — აი, რით სულდგმულობენ დღენიადაგ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, პოლიტბიურო, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი. პარტიისა და ხალხის ინტერესების ერთიანობაა პარტიის პოლიტიკის ძალა, მთელი ჩვენი გეგმების რეალობა.

საბჭოთა ხალხი, მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა გულწრფელად გიმადლიან თქვენ, ლეონიდ ილიას ძევ, იმას, რომ რთულ საერთაშორისო ვითარებაში იჩენთ გამჭრიახობას და ლენინური პარტიისათვის ჩვეულ სიბრძნეს მწვავე პოლიტიკური პრობლემების გადაჭრისას, თანამიმდევრულად იცავთ ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმეს.

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, რომელიც ითვალისწინებს მშრომელთა მრავალ წინადადებას და გამოხატავს მათ გრძნობებსა და სურვილებს, გადაწყვიტა სამშობლოს უმაღლესი ჯილდოთი აღნიშნოს ის უთვალსაჩინოესი ღვაწლი, რომელიც თქვენ მიგიძღვით მშვიდობიან საქმეებსა და მხედრულ საქმეებში.

ამხ. მ. ა. სუსლოვმა წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ლენინის ორდენითა და საბჭოთა კავშირის გმირის „ოქროს ვარსკვლავის" მედლით ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დაჯილდოების შესახებ და დამსწრეთა ხანგრძლივი ტაშის გრიალში გადასცა მას ეს ჯილდოები. დასასრულ ამხ. მ. ა. სუსლოვმა თქვა:

სულით და გულით გილოცავთ თქვენ, ლეონიდ ილიას ძევ, დაბადების დღეს, სამშობლოს მაღალ ჯილდოს. გულწრფელად გისურვებთ კარგად ყოფნას და დღეგრძელობას, ახალ გამარჯვებებს თქვენს დაუღალავ საქმიანობაში ხალხის საკეთილდღეოდ, ქვეყნად მშვიდობის დასამკვიდრებლად და კომუნიზმის იდეალების გასამარჯვებლად.

● ●

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

პატივცემულო მიხეილ ანდრიას ძევ! ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

გულითად მადლობას მოგახსენებთ მაღალი ჯილდოსა და კეთილი სიტყვებისათვის. ჩემი შრომისადმი ყურადღებისა და პატივისცემის ეს გამოვლენა, მართლაც, გასახარია. იგი განმიმტკიცებს რწმენას, რომ მრავალი წლის მუშაობის მანძილზე შევძელი ცოტა რამ სასარგებლო გამეკეთებინა პარტიისათვის, ხალხისათვის. ყოველივე ეს ახალ ძალებს მანიჭებს და სულიერ მხნეობას მმატებს.

ჯილდოს, რომელიც მომენიჭა, მე ვრაცხ არა მარტო იმის აღიარებად, რაც შევძელი პირადად გამეკეთებინა მონდობილ პასუხსაგებ პარტიულ და სახელმწიფო პოსტებზე ყოფნისას. ამ ჯილდოს ვრაცხ, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი კურსის სისწორისა და ქმედითობის აღიარებად, იმ პოლიტიკის სისწორის აღიარებად, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრეს ჩვენი პარტიის უკანასკნელი ყრილობების გადაწყვეტილებებმა და რომელთა ხორცშესხმას ვახმართ მთელ ჩვენს ენერგიას.

ამასთან დაკავშირებით, აი რა მინდოდა მეთქვა თქვენთვის, ამხანაგებო!

პარტიის, როგორც მთელი ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელი, წარმმართველი ძალის, წარმატებული საქმიანობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი წანამძღვარია მისი ხელმძღვანელი ბირთვის — ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროსა და ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ერთიანობა, დარაზმულობა, ერთსულოვანი მუშაობა. შეგვიძლია დიდი კმაყოფილებით ვთქვათ, რომ ყოველივე ეს ჩვენ გვაქვს.

ჯერ ერთი, — და ეს ყველაზე მთავარია, — გვაქვს ჭეშმარიტი ურთიერთგაგება ხელმძღვანელობაში, ერთიანი აზრი ჩვენი პოლიტიკის, საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიზნების, ამ მიზნებისაკენ მიმავალი გზების შესახებ. ჩვენ ყველას ერთად და თითოეულს ცალ-ცალკე არა გვაქვს სხვა საზრუნავი გარდა მშვიდობისა და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს აყვავებისა, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა.

მეორე, გვყავს ხელმძღვანელი კოლექტივი, გვაქვს წამოჭრილი პრობლემების ერთობლივი შესწავლის, სერიოზული განხილვისა და გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების პრაქტიკა.

და ბოლოს, გვაქვს გულწრფელი პატივისცემა ერთმანეთისა, ჭეშმარიტად ამხანაგური სულისკვეთება და კარგი ადამიანური მეგობრობა. ყოველივე ეს უზრუნველყოფს შემოქმედებით ატმოსფეროს და ეფექტიან მუშაობას.

პარტიის ხელმძღვანელ ბირთვში მაღალ პრინციპულობასთან, საქმიან მომთხოვნელობასთან შეხამებული ეს ამხანაგობის სულისკვეთება გვეხმარება უზრუნველვყოთ ჯანსაღი მორალურ-პოლიტიკური კლიმატი მთელ პარტიასა და ქვეყანაში, გვეხმარება უკეთ ვიცოდეთ და გავითვალისწინოთ მილიონობით საბჭოთა ადამიანების აზრები, მისწრაფებები და ინიციატივები. ეს კი ნიშნავს წარმატებით მოვახმაროთ პარტიისა და მთელი ხალხის ძალისხმევა ქვეყნის განვითარების დიდი და რთული ამოცანების გადაწყვეტას.

ასეთ ვითარებაში გვიადვილდება იმ სიძნელეების დაძლევა, რომლებსაც ვაწყდებით, გვიადვილდება მოვახმაროთ მთელი ძალები იმ ჭეშმარიტად დიადი საქმეების აღსრულებას, რომლებსაც წყვეტს საბჭოთა ხალხი, დევგმირი ხალხი, ისტორიაში პირველი კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ხალხი.

მინდა, გულწრფელი მადლობა მოგახსენოთ ყველას — ჩემს ამხანაგებს, პოლიტბიუროს წევრებსა და წევრობის კანდიდატებს, ცენტრალური კომიტეტის მდივნებს იმ მხარდაჭერისათვის, რომელსაც განუხრელად მიწევთ, როგორც ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ჩვენი ერთობლივი შეხმატკბილებული მუშაობისათვის.

უმაღლესი მადლიერების, პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ვიღებ ამ ჯილდოს.

● ●

ამხანაგების მ. ა. სუსლოვისა და ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები ყურადღებით მოისმინეს და ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა, სხვა საბჭოთა პარტიულმა მოღვაწეებმა, სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელებმა მხურვალედ და გულითადად მიულოცეს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს სამშობლოს უმაღლესი ჯილდო და იუბილე. მათ უსურვეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს ახალი წარმატებანი ნაყოფიერ მოღვაწეობაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის პასუხსაგებ პოსტებზე, მსოფლიო სოციალიზმის პოზიციების შემდგომი განმტკიცების, საყოველთაო მშვიდობისა და სოციალური პროგრესის დამკვიდრებისათვის. (საკდესი).

ლენინის დიადი საქმის ერთგული განმგრძობი

დარბაზობა კრემლში ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 75 წლის თავთან დაკავშირებით

19 დეკემბერს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ კრემლის გიორგის დარბაზში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით დარბაზობა გამართეს.

კურანტებმა საღამოს ექვსი საათი ჩამოჰკრეს. დარბაზის თავზე ჟღერს ჩაიკოვსკის „საზეიმო მარში".

დარბაზობის მონაწილენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

შეკრებილნი მიესალმებიან ამხანაგებს ი. ვ. ანდროპოვს, მ. ს. გორბაჩოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. პ. კირილენკოს, დ. ა. კუნაევს, ა. ი. პელშეს, გ. ვ. რომანოვს, მ. ა. სუსლოვს, ნ. ა. ტიხონოვს, დ. თ. უსტინოვს, კ. უ. ჩერნენკოს, ვ. ვ. შჩერბიცკის, გ. ა. ალიევს, პ. ნ. დემიჩევს, ტ. ი. კისელიოვს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, შ. რ. რაშიდოვს, მ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, ი. ვ. კაპიტონოვს, ვ. ი. დოლგიხს, მ. ვ. ზიმიანინს, კ. ვ. რუსაკოვს.

დარბაზში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირის მინისტრები, ცენტრალურ უწყებათა ხელმძღვანელები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები, მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლები, მხედართმთავრები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი.

დარბაზობის მონაწილენი ძმურად, გულითადად მიესალმებიან მოსკოვში საიუბილეო ზეიმზე ჩამოსულ სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელებს — ამხანაგებს იანოშ კადარს, ტოდორ ჟივკოვს, ნიკოლაე ჩაუშესკუს, იუმჟაგიინ ცედენბალს, ერიხ ჰონეკერს, გუსტავ ჰუსაკს.

აქვე არიან ერაყის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი აზიზ მუჰამედი, ურუგვაის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი როდნეი არისმენდი, ჩილეს კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი ლუის კორვალანი, სირიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ომარ სიბაი, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი რომეშ ჩანდრა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით დარბაზობა გახსნა **სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა.** მან თქვა:

ამხანაგებო, მეგობრებო! მოხარული ვარ, რომ დღეს შეგვიძლია მხურვალედ და გულითადად მივულოცოთ დაბადების დღე ყოველი ჩვენგანისათვის ძვირფას ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, ერთგულ ლენინელს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, თანამიმდევარ და მედგარ მშვიდობის მებრძოლს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ! სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოსალმებაში მოცემულია თქვენი მოღვაწეობის მაღალი შეფასება, გამოთქმულია მთელი ხალხის სიყვარული თქვენდამი, როგორც მუშური წრთობის, ჯარისკაცური სიმტკიცისა და გამჭრიახი პოლიტიკური მოღვაწის სიბრძნის სიკეთით შემკობილი ადამიანისადმი. **(ტაში).**

პარტია, ხალხი დიდად აფასებენ იმას, რომ მთელი თქვენი შრომითი ცხოვრების მანძილზე თქვენ იმყოფებოდით სოციალიზმისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანეს უბნებზე, ბრძოლისა და მშვიდობიანი აღმშენებლობის წინა ხაზზე. თქვენ მონაწილეობა მიგიღიათ დიდ, მასშტაბურ საქმეებში — აღგიდგენიათ ომით გაპარტახებული სახალხო მეურნეობა; გაძღოლიხართ ასიათასობით პატრიოტს ყამირის დასალაშქრავად, გაგიზიარებიათ პირველმკვლევართა ცხოვრების ჭირი და ლხინი; გიხელმძღვანელიათ მეორე ყამირის — კოსმოსური ყამირის ათვისებისათვის. ომის ძნელბედობაში გამოიარეთ თქვენ 1418 ცეცხლოვანი დღისა და ღამის სიგრძის გზა. ერთი სიტყვით, საბჭოეთის ბიოგრაფია — ეს თქვენი ბიოგრაფიაც არის, ლეონიდ ილიას ძევ. **(ხანგრძლივი ტაში).**

საგულისხმოა, რომ საერთო-სახალხო საქმისათვის მოხმარებული სამოცი წლის შრომის ორმოცდაათი წელი თქვენ, ლეონიდ ილიას ძევ, კომუნისტთა პარტიის რიგებში გაატარეთ. და, რაც ასევე საგულისხმოა, კომუნისტის წოდებით ამ დაუცხრომელი საქმიანობის წლების ნახევარი მოდის პარტიის უმაღლეს შტაბში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში მუშაობის წილად.

წელს ჩვიდმეტი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც თქვენ, ლეონიდ ილიას ძევ, პარტიის ნებით სათავეში ჩაუდექით მის ცენტრალურ კომიტეტს. ყველაზე საპატიო და ყველაზე პასუხსაგებ პოსტზე — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე განსაკუთრებული ძალით გაიფურჩქნა თქვენი ნიჭი, ნიჭი შესანიშნავი პარტიული ორგანიზატორის და წინამძღოლის, კომუნიზმის საქმის უსაზღვროდ ერთგული ადამიანისა. **(ხანგრძლივი ტაში).**

უაღრესად მრავალმხრივი და ნაყოფიერია თქვენი მოღვაწეობა საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე. თქვენმა არჩევამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ხელი შეუწყო სახალხო ხელისუფლების ორგანოების ავტორიტეტის ამაღლებას, მათი საქმიანობის გაუმჯობესებას, როგორც ქვეყნის საყოველთაო-სახალხო დეპუტატი, თქვენ ხალხის უანგარო სამსახურის მაგალითს გვიჩვენებთ.

თქვენი ხელმძღვანელობით შემუშავებულმა სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ მძლავრი იმპულსი მისცა სოციალისტური დემოკრატიის განვითარებას, კიდევ უფრო ვრცელი ასპარეზი დაუსახა საბჭოთა ადამიანების შრომითსა და პოლიტიკურ აქტიურობას. **(ტაში).**

პარტია თქვენი ინიციატივით დაადგა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების კურსს, რათა მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მშრომელთა განუწყვეტლივ მზარდი მოთხოვნილებანი, შეიმუშავა თანამედროვე აგრარული პოლიტიკა, რომლის მიზანია სასურსათო პრობლემის გადაჭრა და სოფლის სოციალური განახლება.

დიდ ძალ-ღონესა და ნიჭს ახმართ თქვენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას. იმაში, რომ საბჭოთა ადამიანებს, ჩვენს მეგობრებსა და მოკავშირეებს შეუძლიათ მშვიდად იშრომონ, დიდი დამსახურება მიუძღვის საბჭოთა კავშირის მარშალს, სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ხალხებმა იციან, რა მტკიცედ და თანამიმდევრულად იღვწით მთელ პლანეტაზე მშვიდობის დამკვიდრებისათვის, კაცობრიობის დღევანდელი და მომავალი ისტორიიდან ომის აღმოფხვრისათვის. თქვენმა მგზნებარებამ, გულწრფელობამ და სიმტკიცემ მშვიდობის დიადი საქმის დაცვაში, ყველა ფორმის ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში მოგიპოვათ საყოველთაო პატივისცემა და მშრომელ ადამიანთა სიყვარული დედამიწის ყველა კუთხეში. **(ტაში).**

ფასდაუდებელია, ლეონიდ ილიას ძევ, თქვენი პირადი წვლილი მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში, მეცნიერული კომუნიზმის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში. თქვენი მოხსენებები ჩვენი პარტიის ყრილობებსა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, თქვენი სტატიები და სხვა ნაშრომები შეიცავს დიდ, პრინციპულ განზოგადებებს მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და პრაქტიკის დარგში, გვისახავს ზუსტ ორიენტირებს განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე საზოგადოების შემდგომ წინსვლაში, კომუნიზმის მშენებლობაში.

თქვენ, ლეონიდ ილიას ძევ, შრომითი და პოლიტიკური წრთობა მიიღეთ მუშურ ოჯახში, სამუდამოდ დაგრჩათ არა მარტო ხსოვნა ქარხნის კოლექტივისა, რომელიც თქვენთვის მუშური უნივერსიტეტი გახდა, არამედ ორგანული კავშირი მშრომელ ხალხთან, მისწრაფება ემსახურებოდეთ მუშათა კლასის, მთელი ხალხის ძირეულ ინტერესებს, ზრუნავდეთ მშრომელი ადამიანების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. ეს ერთ-ერთი მკაფიო ნიშანია ლეონიდ ილიას ძისა, როგორც ლენინური ტიპის ხელმძღვანელისა, რომელსაც შეუძლია ორგანულად შეუხამოს კომუნისტური იდეალების განხორციელება დღევანდელი პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას, სალად შეაფასოს ახალი დიადი მიღწევები, ხედავდეს სიძნელეებს, ნაკლოვანებებს და პოულობდეს მათი აღმოფხვრის გზებს.

(დასასრული მე-2 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინის დიადი საქმის ერთგული განმგრძობი

(დასასრული)

ჩვენი საზოგადოების მთელ ცხოვრებაზე სასიკეთო გავლენას ახდენს ლეონიდ ილიას ძის უნარი რაზმავდეს და შთააგონებდეს ადამიანებს, ქმნიდეს ერთსულოვანი კოლექტიური მუშაობის ვითარებას. ადამიანებისადმი პატივისცემა, ნდობა, რომელიც ეხამება მაღალ მომთხოვნელობას, — თქვენთვის, ლეონიდ ილიას ძევ, როგორც ხელმძღვანელისათვის, დამახასიათებელი ნიშნები გახდა მაგალითი, რომლითაც საბჭოთა კომუნისტები ამოწმებენ ადამიანებთან თავიანთი მუშაობის მეთოდებს. (ტაში).

თქვენი მიზანსწრაფვა და თანამიმდევრულობა საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში, იმის უნარი, რომ ხედავდეთ მთავარ მიმართულებებს და მათ ახმარდეთ ძირითად ძალ-ღონეს, პარტიული პრინციპულობა — ყოველივე ეს განსაზღვრავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სამდივნოს, პარტიის ყველა რგოლის მრავალმხრივ საქმიანობას, ხელს უწყობს პარტიული და სახელმწიფო ორგანოების მუშაობაში ლენინური სტილის განუხრელ დამკვიდრებას. (ტაში).

სამშობლომ დიდად დააფასა თქვენი, ლეონიდ ილიას ძევ, დამსახურება პარტიის, სახელმწიფოს წინაშე, საბჭოთა ხალხისა და მთელი კაცობრიობის წინაშე და დაგაჯილდოვათ ლენინის ორდენით და საბჭოთა კავშირის გმირის „ოქროს ვარსკვლავით“. საბჭოთა კავშირის გმირის მეოთხე ვარსკვლავის მონიჭება დიდი პატივი და დიდი დამსახურებაა. (ტაში).

ნება მიბოძეთ, ძვირფასო მეგობარო, ერთხელ კიდევ გულითადად მოგილოცოთ დაბადების დღე და მაღალი ჯილდო, გისურვოთ ჯანმრთელობა, ბედნიერება და მრავალი წლის ნაყოფიერი, აღმშენებლობითი მოღვაწეობა ჩვენი პარტიის სადიდებლად, ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ, კომუნიზმისა და მშვიდობისათვის. (ხანგრძლივი ტაში).

ძვირფასო ამხანაგებო! მინდა გამოვხატო ყველა აქ მყოფის გრძნობები და ვადღეგრძელო ძვირფასი ლეონიდ ილიას ძე, ვსურვოთ მას ჯანმრთელობა და ბედნიერება, დიდი მიღწევები დაუცხრომელ შრომაში. (ხანგრძლივი ტაში).

დარბაზობის მონაწილენი ფეხზე დგებიან და ამხ. მ. ა. სუსლოვის ბოლო სიტყვებს ხვდებიან ხანგრძლივი ოვაციით. ლეონიდ ილიას ძეს და მის მეუღლეს ვიქტორია პეტრეს ასულს პიონერებმა ყვავილები მიართვეს.

თავმჯდომარემ ამხ. მ. ა. სუსლოვმა სიტყვა მისცა **სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ვ. ვ. გრიშინს.**

თქვენი დაუცხრომელი და ნაყოფიერი მოღვაწეობა, უთხრა მან ლეონიდ ილიას ძეს, — სამშობლოს, ლენინის პარტიის, დიადი ოქტომბრის საქმის თავდადებული სამსახურის შთამაგონებელი მაგალითია. თქვენს სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული სკკპ საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემუშავება და პრაქტიკული განხორციელება, ჩვენს ქვეყანაში მომწიფებული სოციალიზმის ჩამოყალიბება, ეკონომიკის ღრმა შემობრუნება ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ამოცანების გადაწყვეტისაკენ, ქვეყნის თავდაცვის შემდგომი განმტკიცება.

განვლეთ რა დიდი სამამულო ომის ყველა განსაცდელი, მთლიანად გრძნობთ რა უდიდეს პასუხისმგებლობას, რომელიც ჩვენს პარტიას აკისრია ისტორიის წინაშე, თქვენ ძალ-ღონესა და ენერგიას არ იშურებთ მშვიდობის განმტკიცებისათვის, დაძაბულობის შენელების შენარჩუნებისათვის, რაკეტულ-ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის, გამალებული შეიარაღების ალაგმვისათვის.

თქვენ ლენინურად ბრძნულად ხელმძღვანელობთ ჩვენი პარტიის კოლექტიურ შტაბს — ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს. თითოეულ ჩვენგანს, ყველა კომუნისტს აძლევთ კომუნისტური მშენებლობის, საერთაშორისო ცხოვრების რთული პრობლემებისადმი პარტიული, სახელმწიფო მიდგომის მაგალითს, მაღალი მომთხოვნელობის, ადამიანებისადმი გულისხმიერი და ყურადღებიანი დამოკიდებულების, ხალხთან მჭიდრო კავშირის მაგალითს.

მოსკოვის კომუნისტები, მშრომელები გისურვებენ თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, ახალ წარმატებებს მრავალმხრივ მოღვაწეობაში საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, კომუნიზმის გამარჯვებისათვის მოსკოველები წრფელ მადლობას გიხდიან დედაქალაქის განვითარებაზე, მის მცხოვრებთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვისათვის.

თქვენი სახელი და თქვენი საქმენი, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, თქვა **უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. ვ. შჩერბიცკიმ,** განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა ხალხის თვალსაჩინო გამარჯვებებთან, მტკიცედ არის აღბეჭდილი ჩვენი დროის ისტორიაში.

უსაზღვროა ჩვენი პარტიის, ხალხის უფართოესი მასების, ყველა კეთილი ნების ადამიანის პატივისცემა და ნდობა თქვენდამი, უდიდესი და დამსახურებულია თქვენი ავტორიტეტი. ეს არის ავტორიტეტი ბრძენი ადამიანისა, რომელიც მშრომელი ხალხის წიაღში იშვა, ავტორიტეტი უდიდესი გამოცდილებისა და მდიდარი სულისა, ეს არის ავტორიტეტი ერთგული ლენინელისა, რომელიც თავდადებით იბრძვის ხალხის ბედნიერებისათვის, ავტორიტეტი თანამიმდევრული და უდრეკი ინტერნაციონალისტისა.

ჩვენი ვალი და წმიდათაწმიდა მოვალეობაა — საქმით ვუპასუხოთ თქვენს დაუცხრომელ ზრუნვას საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის, მშვიდობისათვის, გულმოდგინედ ვიმუშაოთ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, ვამრავლოთ ჩვენი წვლილი კომუნიზმის მშენებლობის საერთო-სახალხო საქმეში.

მდაბალ სალამს გითვლიან თქვენი თანამემამულენი, მშობლიური ქალაქი დნეპროძერჟინსკი, დნეპროპეტროვსკისა და ზაპოროჟიეს ოლქის მშრომელები, რომელთა ომის შემდგომ აღორძინებაში ესოდენ დიდია თქვენი პირადი წვლილი.

ვამაყობთ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, რომ საბჭოთა ყაზახეთი ახლობელია თქვენთვის, უწინარეს ყოვლისა, დაუვიწყარი ყამირის ეპოპეით, **თქვა ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. დ. ა. კუნაევმა.**

მადლობელი ვართ რესპუბლიკის არნახული განვითარებისათვის, თქვენი ზრუნვისა და ყურადღების, რჩევა-დარიგებებისა და რეკომენდაციებისათვის, თქვენი ჭეშმარიტად ბოლშევიკური მომთხოვნელობისათვის. მუდამ და ყველაფერში თვალსაჩინოდ ვლინდება, თუ რა უშრეტი სულიერი სიმდიდრე ახასიათებს თქვენს პიროვნებას — ლენინური ტიპის ხელმძღვანელის, დაკვირვებული და ბრძენი პოლიტიკოსის, ახალი სამყაროს შორსმჭვრეტელი სტრატეგის პიროვნებას, რომელიც პატიოსნად და ერთგულად, მთელი ძალ-ღონით ემსახურება პარტიასა და ხალხს.

მთელი თქვენი მრავალმხრივი მიჩქეფარე მოღვაწეობა ჩვენთვის ნიმუში, ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმის მაგალითია. იგი გვასწავლის სათუთად გავუფრთხილდეთ საბჭოეთის ხალხების ფასდაუდებელ ძმობას ჩვენი დიადი სახელმწიფოს უძლეველი სიმტკიცისა და მისი ყველა ნამდვილი მეგობრისათვის, ქვეყნად მტკიცე მშვიდობისათვის.

გულითად მადლობას გიხდით ყოველივე ამისათვის ყაზახეთის მშრომელთა სახელით, რომლებიც უსაზღვროდ ახლობელი არიან თქვენთვის ჩვენი მშობლიური პარტიის რევოლუციური სულისკვეთებით, აღმშენებლობითი საქმით.

ჩვენი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს კომუნისტები, მშრომელები, თქვა **გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ე. ჰონეკერმა,** უდიდესი გულწრფელი სიმპათიით არიან განმსჭვალული თქვენდამი, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ. ისინი გამოხატავენ პატივისცემასა და მადლობას გამოჩენილი მარქსისტ-ლენინელისადმი, რომელიც ღირსეულად განაგრძობს დიდი ლენინის მიერ დაწყებულ საქმეს.

თქვენ შთამაგონებელი ძალით, დიდი საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა ნდობასა და შრომით ენთუზიაზმზე დაყრდნობით, პარტიისა და სახელმწიფოს სათავეში იბრძვით კაცობრიობის ყველაზე ნათელი მიზნებისათვის. სკკპ XXVI ყრილობამ, რომელიც ახალი ნიშანსვეტი გახდა კომუნიზმისაკენ შემდგომი წინსვლის გზაზე, მშვიდობისა და პროგრესისათვის ბრძოლაში, შთამბეჭდავად დაადასტურა ეს.

ჩვენ პატივს გცემთ როგორც მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საქმისათვის დაუცხრომელ მებრძოლს. რა არის ომი, რა ტანჯვა-წამება და ნგრევა მოაქვს მას ხალხებისათვის — თქვენ საკუთარი გამოცდილებით გაიგეთ. საბჭოთა კავშირი დიდი ოქტომბრის სულისკვეთებით დღესაც ასრულებს თავის ისტორიულ სამშვიდობო მისიას. თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, ამისათვის ეწევით თავდადებულ, ინიციატივებით აღსავსე მუშაობას, რომელიც მთელ მსოფლიოში ღრმა პატივისცემას იმსახურებს.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს მიმართა **რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მ. ს. სოლომენცევმა:**

თქვენ მიერ — როგორც მუშის, ჯარისკაცის, პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ხელმძღვანელის მიერ განვლილი გზა მოღვაწეობის, მხედრული მამაცობის, კაცობრიობის ნათელი იდეალებისათვის ბრძოლისა და შრომის ყველაზე მკაფიო მაგალითია. თქვენ განასახიერებთ ლენინური ტიპის პოლიტიკოსის საუკეთესო ნიშნებს, მუდამ ხართ ახალი საზოგადოების აღმშენებლობის მოწინავე ხაზზე.

საბჭოთა ხალხს უყვარხართ და დიდ პატივს გცემთ, რადგან განასახიერებთ კომუნისტური პარტიის სიბრძნეს, გამჭრიახობას, მამობრივ ზრუნვას ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისათვის — ყოველივე იმას, რაც დიდმა რევოლუციამ გვიანდერძა. თქვენს სახელს უკავშირებს იგი ქვეყნის დღევანდელ წარმატებებსა და მომავალში მისი ახალი გამარჯვებების იმედებს.

ჩვენი რესპუბლიკის თითოეული ადამიანის გულში ღვივის მადლობის განსაკუთრებული გრძნობები თქვენდამი რუსეთის ფედერაციის მიმართ დიდი ყურადღებისათვის, თქვენი ინიციატივით არაშავმიწანიადაგიანი ზონის — რუსეთის ამ ისტორიული ცენტრის გარდაქმნის გეგმების განხორციელებისათვის, თაობათა იმ ოცნების ახდენისათვის, რომ სამშობლოს სამსახურში ჩააყენოს ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის სიმდიდრენი.

ყველა ჩვენგანი ვამაყობთ, რომ მრავალი წელია ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს საჭესთან დგახართ თქვენ — ნამდვილად ლენინური გაქანების ხელმძღვანელი, ბრძენი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, ახალი საბჭოთა კონსტიტუციის შექმნის სულისჩამდგმელი და აქტიური მონაწილე, რომლითაც თავის ძლევამოსილ წინსვლას ამოწმებს მოწინავე საზოგადოება—განვითარებული სოციალიზმის საზოგადოება, თქვა **სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. გ. ვ. რომანოვმა.**

ლეონიდ ილიას ძევ, თქვენი სახელი და მოღვაწეობა ჩვენი ლენინური პარტიისადმი უანგარო სამსახურის მკაფიო მაგალითია, რომლის მონოლითურ რიგებშიც ბრძოლისა და გამარჯვების გზით აი უკვე ხუთ ათწლეულზე მეტია მიდიხართ.

პიტერელმა ბოლშევიკებმა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაწილეებმა, ომისა და შრომის ვეტერანებმა მთხოვეს მხურვალედ მოგესალმოთ ამ თარიღთან დაკავშირებით, მოგილოცოთ დაბადების დღე, გისურვოთ დღეგრძელობა და ნაყოფიერი მუშაობა საბჭოეთის აყვავებისათვის.

მაქსიმ გორკიმ თქვა: „ხალხის პატიოსან ბელადთა თანამდებობა არაადამიანურად ძნელიაო“, ამ სიტყვების არსი სავსებით ესადაგება თქვენს, ლეონიდ ილიას ძევ, ცხოვრების გზას — რევოლუციონერისა და პატრიოტის, ფრონტელი მეომრისა და კომისრის, მგზნებარე ინტერნაციონალისტის გზას, რომელიც თავის პოლიტიკურ და ორგანიზატორულ ტალანტს მთლიანად ახმარს კომუნიზმის იდეალებისადმი სამსახურს.

შეიარაღებული ძალების მეომართა სახელით და პირადად **სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ამხ. დ. თ. უსტინოვმა** ლეონიდ ილიას ძეს გულითადად და გულწრფელად მიულოცა დაბადების 75 წლის თავი და სამშობლოს საპატიო ჯილდო — ლენინის ორდენი და საბჭოთა კავშირის გმირის მეოთხე „ოქროს ვარსკვლავის“ მედალი.

უდიდესი ბედნიერებაა ჩვენი ხალხისათვის, კეთილი ნების ყველა ადამიანისათვის, რომ ისტორიული განვითარების ახლანდელ რთულ და პასუხსაგებ მომენტში მძლავრი საბჭოთა სახელმწიფოს საჭესთან დგახართ თქვენ — მშვიდობის უდრეკი მებრძოლი, ახალი საერთაშორისო ურთიერთობის გამჭრიახი ხუროთმოძღვარი.

საბჭოთა ხალხს მიაჩნიხართ თავის ღირსეულ შვილად, რომელშიც შესისხლხორცებულია კომუნისტის, მშრომელის, მეომრის საუკეთესო თვისებები. იგი დიდად აფასებს თქვენს წვლილს ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებაში. თქვენ უშუალოდ წყვეტთ სამხედრო მშენებლობის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხს, ფართოდ იყენებთ დიდი სამამულო ომის თვალსაჩინო სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელის საკუთარ საბრძოლო გამოცდილებას.

თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, მუდამ დგახართ ჩვენი შეიარაღებული ძალების საბრძოლო მწყობრის მარჯვენა ფლანგზე. თქვენ გისწორებთ მხარს საბჭოთა სამშობლოს ყველა დამცველი! თქვენი იუბილის დღეს არმიისა და ფლოტის მეომრები გპატაკებენ: „საბჭოთა ადამიანების, მათი მეგობრებისა და მოკავშირეების მშვიდობიანი შრომა იყო, არის და მუდამ იქნება საიმედოდ დაცული“.

ჩვენ გაფასებთ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, როგორც ადამიანს, სახელმწიფო მოღვაწესა და პოლიტიკოსს, ორგანიზატორსა და მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებისათვის, სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობისა და აყვავებისათვის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განმტკიცებისათვის მგზნებარე მებრძოლს, თქვა **ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ამხანაგმა გ. ჰუსაკმა.** ჩვენი სამშობლოს მშრომელები მთელი არსებით მადლობას გიძღვნიან თქვენ ყველაფრისათვის, რაც გააკეთეთ თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და სოციალიზმის აშენებისათვის ჩეხოსლოვაკიაში, ჩვენი ხალხის ბედნიერი და მშვიდობიანი ცხოვრებისათვის.

თქვენი ცხოვრება საბჭოთა ხალხის სახელოვანი, ძლევამოსილი გზის განუყოფელი ნაწილია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით და თქვენი მეთაურობით, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, საბჭოთა კავშირში ხორცს ისხამს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის იდეალები განვითარებული სოციალისტური საზოგადოებისა და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის პერიოდში. ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ანდერძს საიმედო აღმსრულებელი ჰყავს.

თქვენი, კომუნისტის მგზნებარე გული ლეონიდ ილიას ძევ, თქვა **ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ტ. ი. კისელიოვმა,** ყოველი თავისი ძგერით თავდადებით ემსახურება საბჭოთა ხალხების მრავალმილიონიან ოჯახს, მათ ბედნიერებასა და კეთილდღეობას. იგი იტევს მთელი პლანეტის საზრუნავს, წუხილსა და იმედებს. გმირული ცხოვრებით თქვენ კომუნიზმის ნათელ იდეალებს ამკვიდრებთ.

და დღეს, თქვენი იუბილეს ღირსშესანიშნავ დღეს, საბჭოთა ადამიანების უსპეტაკესი, უგულითადესი გრძნობები ერთიანდება თქვენდამი — უკვდავი ლენინის საქმის გამოჩენილი განმგრძობისადმი, ქვეყნად სიკეთისა და მშვიდობის დაუცხრომელი მთესველისადმი მთელი ხალხის სიყვარულის ერთ დიდ გრძნობად. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საყოველთაოდ აღიარებული ლიდერი, თქვენ აერთიანებთ მოაზროვნის პოლიტიკურ სიბრძნეს ბრწყინვალე ორგანიზატორის ნიჭთან, დიდ ერუდიციასა და გამჭრიახობას უბრალოებასთან და თავმდაბლობასთან, ლენინურ პრინციპულობას დიდბუნებოვნებასთან და პირად მომხიბვლელობასთან.

ყველა ჩვენგანისათვის დიდი პატივია თქვენთან მუშაობა, თქვენი ხელმძღვანელობით მუშაობა, თქვენგან სწავლა.

სალამი თქვენდა მადლიერი ბელორუსიიდან, სადაც გადიოდა თქვენი კომკავშირული სიჭაბუკის ერთ-ერთი სამახსოვრო გზა.

უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. შ. რ. რაშიდოვმა თავის გამოსვლაში აღნიშნა: თქვენი სახელოვანი იუბილეს დღეს, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, გვინდა უწინარეს ყოვლისა, გითხრათ, რომ ყველას ძალიან გვიყვარხართ და ვამაყობთ თქვენით. გვიყვარხართ თქვენი რევოლუციური მგზნებარებისა და ლენინური სიმტკიცისათვის, გამჭრიახობისა და გამბედაობისათვის, თქვენი უთვალსაჩინოესი ორგანიზატორული ნიჭისა და მიზანსწრაფვის, ადამიანურობისა და სისადავისათვის.

მთელი თქვენი ცხოვრებით, მისი ყოველი დღითა და საათით თქვენ ამკვიდრებთ ამქვეყნად გონიერს, კეთილს, მარადიულს. საბჭოთა ადამიანებს უსაზღვროდ სჯერათ თქვენი. მათ კარგად იციან, რომ მთელი თქვენი ცხოვრება, თქვენი დაუღალავი შრომა, თქვენი საქმენი, ოცნებები და გეგმები — ხალხისათვის, ხალხის კეთილდღეობისთვისაა.

ჩვენ თქვენგან ვსწავლობთ ლენინურ გეგგილიანობას და ლენინურ ორგანიზებას, ლენინურ სისადავესა და პრინციპულობას, ლენინურად ცხოვრებას, ლენინურად ბრძოლასა და ლენინურად გამარჯვებას.

დაე, თქვენი ნიჭი, თქვენი დაუშრომელი და შემართებული მოღვაწეობა კვლავაც მოხმარებოდეს პარტიას, საბჭოთა ხალხს, კვლავაც ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანისათვის მკაფიო მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იბრძოლო მთელი შენი არსებით კაცობრიობის ნათელი იდეალებისათვის, როგორ პოვო ბედნიერება ამ ბრძოლაში.

თავის გამოსვლაში **უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ი. კადარმა** ხაზი გაუსვა:

მთელი პროგრესული კაცობრიობა, მათ შორის სოციალიზმის მშენებელი უნგრელი ხალხიც კარგად იცნობენ და უდიდეს პატივს სცემენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მრავალი ათწლეულის დაუშრომელ, თავდადებულ და თავისი მნიშვნელობით გამორჩეულ მოღვაწეობას, უნგრეთის საზოგადოებრიობამ იცის, რომ ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს როგორც ჩვენი მოძმე პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, შეუტანია და კვლავაც შეაქვს ფასდაუდებელი წვლილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პრინციპული პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და ხორცშესხმაში, ღირსეულად წარმომადგენლობს საერთაშორისო ასპარეზზე კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის მისწრაფებებს, საზოგადოებრივი პროგრესის, მთელი კაცობრიობის მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებს.

ჩვენ, უნგრელები, ამ დღეს ამხანაგ ბრეჟნევის სახით მივესალმებით და პატივს მივაგებთ ჩვენი მოძმე საბჭოთა პარტიის ერთგულ შვილს, პრინციპულ ინტერნაციონალისტს, მხურვალე გულის ადამიანს, ლენინური მემკვიდრეობის ღირსეულ წარმომადგენელსა და განმგრძობს. პატივს მივაგებთ ადამიანს, კომუნისტს, მშვიდობის მებრძოლს, რომელიც მუდამ სწორად იყენებს ისტორიით მონიჭებულ შესაძლებლობებს.

გამოდის **საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ა. შევარდნაძე.**

(ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა ქვეყნდება ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის მესამე გვერდზე).

17 წელია, თავისი სოციალისტური ისტორიის მეოთხედზე მეტია, რაც ჩვენი ქვეყანა ცხოვრობს, შრომობს და იმარჯვებს თქვენი ხელმძღვანელობით, ხაზი გაუსვა **აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. გ. ა. ალიევმა** მიმართა რა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს. ორგანიზატორისა და თეორეტიკოსის თქვენეული შესანიშნავი თვისებებით, სიბრძნით, ვაჟკაცობითა და შეუპოვრობით, ადამიანებისადმი გულისხმიერი და მზრუნველი დამოკიდებულებით, მშვიდობისათვის დაუცხრომელი ბრძოლით თქვენ მოიპოვეთ საბჭოთა ხალხის საყოველთაო სიყვარული, უზენაესი ავტორიტეტი და აღიარება მთელ მსოფლიოში.

თქვენ განასახიერებთ დიდი რუსი ხალხის საუკეთესო ნიშანთვისებებს და მგზნებარე ინტერნაციონალიზმით განამტკიცებთ ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ურღვევ კავშირს, რაზმავთ სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობას.

აზერბაიჯანელი ხალხი უსაზღვროდ ერთგულია თქვენი, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, მამაშვილური მზრუნველობისა და თანადგომისათვის, დიდსულოვნებისა და გულითადობისათვის. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ის დიდი მიღწევები, საბჭოთა აზერბაიჯანის მშრომელებმა რომ მოიპოვეს განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე, თქვენი მუდმივი დახმარებისა და ყურადღების შედეგია, მადლობა თქვენდა, ჩვენი პარტიის ლენინური კურსისათვის, პარტიასა და ქვეყანაში შესანიშნავი შემოქმედებითი ატმოსფეროსათვის, ოპტიმიზმის დიადი გრძნობისათვის.

საბჭოთა პროფკავშირების 113-მილიონიანი არმიის სახელით, რომელსაც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ჩვენი საზოგადოების გავლენიანი ძალა უწოდა, წრფელი და მხურვალე მილოცვა გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს **საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. ი. შიბაევმა.** ყველა საბჭოთა ადამიანი, თქვა მან, მოგახსენებენ თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, თავიანთ უღრმეს მადლიერებას იმისათვის, რომ ნიადაგ ზრუნავთ სოციალისტური სამშობლოს აყვავების, ჩვენი ქვეყნის თითოეული ადამიანის, მისი ცხოვრებისა და ბედნიერებისათვის.

ეს მზრუნველობა ორგანულად ერწყმის თქვენს ტიტანურ ბრძოლას მშვიდობისათვის, შეესაბამება ჩვენი პლანეტის ყველა ადამიანის მისწრაფებებსა და იმედებს.

მთელი თქვენი ცხოვრება, ლეონიდ ილიას ძევ, შესანიშნავი ცხოვრება გამოჩენილი ლენინელისა იყო და მუდამ იქნება უზენაესი მაგალითი თავდადებული ბრძოლისა კომუნისტური იდეალების გასამარჯვებლად, მთელი კაცობრიობის საბედნიეროდ და სამშვიდობოდ.

ყველა ჩვენგანისათვის ცხოვრებისა თუ მუშაობის ბრძნული სახელმძღვანელოა თქვენი წიგნები „მცირე მიწა“, „აღორძინება“, „ყამირი“ და „მოგონებანი“, რომლებშიც ღრმად და გულში ჩამწვდომად არის ასახული ჩვენი გმირული ეპოქის დიადი სახე, საბჭოთა ადამიანის მხედრული და შრომითი გმირობა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ცხოვრება და მოღვაწეობა კომუნიზმის დიადი საქმის შთაგონებული, მიზანსწრაფული და თავდადებული სამსახურის ბრწყინვალე და მისაბაძი მაგალითია, აღნიშნა **ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ტ. ჟივკოვმა.** მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული ძალები, მთელი პლანეტის პატიოსანი ადამიანები იმედით ისმენენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ხმას, რამეთუ იციან: საბჭოთა კავშირის პირველი პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელი მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების, დაძაბულობის შენელებისა და ხალხთა თანამშრომლობის განვითარების, მილიარდობით ადამიანის სიმშვიდისა და ბედნიერებისათვის ურყევი, მგზნებარე მებრძოლია.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახით ჩვენ, ყველა კონტინენტის კომუნისტები ვხედავთ ჩვენი უკვდავი მასწავლებლების — მარქსის, ენგელსის, ლენინის იდეებისა და საქმეების მემკვიდრესა და დაუშრომელ შემოქმედ განმგრძობს. ჩვენ დიდად ვაფასებთ ამხანაგ ბრეჟნევის დიდმნიშვნელოვან, მუდმივ წვლილს საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების შეკავშირებისა და ერთიანობის განმტკიცების საქმეში.

სოციალისტური თანამეგობრობის ხალხებმა იციან, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე რეალური სოციალიზმის ქვეყნების მიერ მოპოვებულ ახალ წარმატებებში მუდამ არის აგრეთვე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის იდეები, ინიციატივები, ჩანს მისი უშუალო მონაწილეობა.

მინდა გამოვთქვა კმაყოფილება, თქვა **რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ამხ. ნ. ჩაუშესკუმ,** იმის გამო, რომ დღენიადაგ ვითარდება რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის ყოველმხრივი თანამშრომლობა და აღვნიშნო თქვენი წვლილი, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, ამ ურთიერთობის განმტკიცებაში. დარწმუნებული ვარ, რომ რუმინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა მუდამ განვითარდება აღმავალი ხაზით ჩვენი ორივე ხალხის საკეთილდღეოდ.

საზოგადოებრივი აზრი სამართლიანად უკავშირებს დიდ იმედს ჟენევაში დაწყებულ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებას. ასევე სავსებით საჭიროა, რომ მადრიდის შეხვედრას მოჰყვეს განიარაღების კონფერენციის მოწვევა და ნდობის განმტკიცება, ახალი ნაბიჯები მშვიდობიანი ევროპის შექმნის გზაზე.

ვაფასებთ რა საბჭოთა კავშირის განსაკუთრებულ როლს, პირადად თქვენს როლს, ამხანაგო ბრეჟნევ, განიარაღებისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში, გამოვთქვამთ რწმენას, რომ ჩვენი ქვეყნები სულ უფრო აქტიურად იმოქმედებენ სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან ერთად ევროპის ხალხების, მთელი კაცობრიობის მისწრაფებათა განხორციელების, მთელი დედამიწის ადამიანთა ფუნდამენტური უფლების — სიცოცხლის, თავისუფლებისა და მშვიდობის უფლების დაცვის საქმეში.

ლენინური კომკავშირის მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის შვილური სიყვარული და სახელოვანი იუბილესა და სამშობლოს უმაღლესი ჯილდოების მხურვალე მილოცვა გადასცა ლეონიდ ილიას ძეს **სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ბ. ნ. პასტუხოვმა.** თქვენგან, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, ბრძენი და მომთხოვნი დამრიგებლისაგან, აღნიშნა მან, სწავლობს ახალგაზრდობა რევოლუციურ მგზნებარებას, კომუნისტურ სიმტკიცეს, ვაჟკაცობასა და უდრეკობას. თქვენგან სწავლობს სამშობლოს, მამისეული კერის, დედის სიყვარულს, წმიდათაწმიდა დამოკიდებულებას შრომის, პურისადმი, დიდბუნებოვნებას. თქვენი შესანიშნავი წიგნები ახალგაზრდობისათვის ცხოვრების სახელმძღვანელოდ იქცა.

კომკავშირი, საბჭოთა ქალიშვილები და ჭაბუკები უსაზღვროდ მადლიერი არიან პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსი, თქვენი მამობრივი ყურადღებისა და ზრუნვისათვის, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ.

შვილების ვალია ასმაგად აანაზღაურონ მშობლის სიყვარული. კომკავშირის ვალი, მთელი მისი საქმიანობის აზრია იყოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საიმედო თანაშემწე და მებრძოლი რეზერვი. მშობლიური კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს მტკიცედ უჭერს მხარს საბჭოთა ახალგაზრდობა!

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, ყველა საბჭოთა მეცნიერების სახელით და პირადად **აკადემიის პრეზიდენტმა ამხ. ა. პ. ალექსანდროვმა** თქვა: მთელი თქვენი ცხოვრება, ჩვენი ხალხისადმი ერთგულების ნიმუში, მისი სამსახურის მაგალითია.

თქვენ მთელი ომი განვლეთ მის უმძიმეს უბნებზე, საკუთარი გამოცდილებით იცით, რა უბედურება მოაქვს ხალხებისათვის ომებს, და კანონზომიერია, რომ ყველა, ვინც კი ღირსია ჩვენს პლანეტაზე ადამიანად იწოდებოდეს, მიესალმება და იწონებს ომის თავიდან აცილებისათვის გამიზნულ თქვენს მოქმედებას. თქვენი სახელი, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, მშვიდობისა და ხალხთა ბედნიერებისათვის ბრძოლის სიმბოლო გახდა. ვიცი და ღრმად მწამს, რომ თქვენი ბრძოლა, ჩვენი პარტიის ბრძოლა მშვიდობისათვის ასმილიონობით ადამიანს შეუნარჩუნებს სიცოცხლეს, გამორიცხავს საბოლოო ანგარიშით ომს კაცობრიობის ცხოვრებიდან.

თქვენ მთელი სიცოცხლე მიუძღვენით ჩვენი ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას. ეს არის თქვენი ძალა, თქვენი დიდი ჰუმანიზმი, რომლისთვისაც უყვარხართ ყველა საბჭოთა ადამიანს.

საბჭოთა მეცნიერებას თქვენ ამოცანად დაუსახეთ საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარება ჩვენი ხალხის საჭიროებათა სრული დაკმაყოფილებისათვის, ჩვენი სამშობლოს სრული უშიშროების უზრუნველყოფისათვის. და ჩვენი მეცნიერნიც ძალ-ღონეს არ დაიშურებენ ამ დავალების შესასრულებლად.

საბჭოთა კავშირის ლენინურმა კომუნისტურმა პარტიამ, განაცხადა **მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ი. ცედენბალმა,** სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, მისი მონაპოვრების განმტკიცებისა და დაცვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობისათვის ტიტანური ბრძოლის მთელი ისტორიის მანძილზე აღზარდა პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა შესანიშნავი პლეადა, რომლის ერთ-ერთი ბრწყინვალე და გამოჩენილი წარმომადგენელია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ფასდაუდებელია ლ. ი. ბრეჟნევის ღვაწლი გენიალური ლენინის მოძღვრების განხორციელებაში, საბჭოთა კავშირში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, ოქტომბრისა და მთელი მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის მონაპოვართა, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცებასა და დაცვაში.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სახელს უკავშირდება დიდი ლენინისა და უშიშარი სუხე-ბატორის მიერ დამყარებული საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ძმური მეგობრობის შემდგომი განვითარება-გაღრმავება, რომელიც ამჟამად ხორცს ისხამს ერთობლივი აღმშენებლობითი შრომით მრავალრიცხოვან მშენებლობებზე და ინტერნაციონალურ საწარმოო კოლექტივებში მონღოლეთის მიწა-წყალზე, ჩვენი სოციალისტური მონაპოვრების საბრძოლო საგუშაგოებზე.

იუბილარს გულითადად მიულოცეს, მხურვალედ მიესალმნენ **ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. პ. პ. გრიშკიავიჩუსი, მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ს. კ. გროსუ, ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ა. ე. ვოსი, ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ტ. უ. უსუბალიევი, ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ჯ. რასულოვი, სსრ კავშირის მინისტრი ე. პ. სლავსკი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. კ. ს. დემირჩიანი, თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. მ. გ. გაპუროვი, ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. კ. გ. ვაინო.** მათ თქვეს, რომ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნათელი, გმირული ცხოვრება იმის მაგალითია, თუ რაოდენ ბევრი რამ შეუძლია ადამიანს, თუ მისი სიცოცხლის მთავარ აზრად იქცა ხალხის, პარტიის საქმის სამსახური. სწორედ ლეონიდ ილიას ძის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული უდიდესი ავტორიტეტი ლენინური პარტიისა, რომელიც ჩვენი ეპოქის გონებას, პატიოსნებასა და სინდისს განასახიერებს.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პიროვნებაში უდიდესი სახელმწიფო მოღვაწის ნიჭი ორგანულად ერწყმის უბრალოებასა და თავმდაბლობას. მუშათა კლასის ღირსეული შვილის მთელი ცხოვრება ემსახურება ხალხის ინტერესებს, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებას, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდას, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ყოველმხრივ განვითარებას. საბჭოთა ადამიანები მადლიერი არიან ლეონიდ ილიას ძისა იმ უდიდესი მეცადინეობისათვის, რომლის მიზანია ჩვენი საყვარელი სამშობლოს აყვავება, ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სახელს უკავშირდება სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განმტკიცება, მთელი კაცობრიობის პროგრესი. თანამედროვენი იცნობენ მას მშვიდობის მგზნებარე ქომაგად, რომელიც შემოქმედებითად ავითარებს და თანამიმდევრულად ახორციელებს ლენინურ საგარეო პოლიტიკას.

ორატორებმა ისურვეს, რომ ლეონიდ ილიას ძის მძლავრი ნიჭი, უმდიდრესი ცხოვრებისეული გამოცდილება კვლავაც, კიდევ მრავალი წლის განმავლობაში ემსახურებოდეს ასევე შთაგონებულად და ნაყოფიერად სამშობლოს, კომუნისტურ პარტიას, ყველას, ვინც სოციალური სამართლიანობისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის იბრძვის.

● ●

გამოსვლები დიდი ყურადღებით მოისმინეს, დარბაზში ხშირად გაისმოდა ხანგრძლივი ტაში.

ამხ. მ. ა. სუსლოვი ადღეგრძელებს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მოძმე პარტიების დამსწრე ხელმძღვანელებს, კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხებს, კომუნისტურ და მუშათა მოძრაობას მშვიდობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიის, სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ყველა მებრძოლის ერთიანობასა და შეკავშირებას. ამ სადღეგრძელოს დარბაზი მქუხარე ტაშით ხვდება.

სიტყვა ეძლევა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს. დარბაზობის მონაწილენი ლეონიდ ილიას ძეს ხანგრძლივი ოვაციით მიესალმებიან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა:

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

ბევრი კარგი, გულთბილი სიტყვა თქვეს აქ დღეს — ჩემმა ამხანაგებმაც — ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის წევრებმაც და მოკავშირე რესპუბლიკების, პროფკავშირების, კომკავშირის, მეცნიერების, შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა და ჩვენმა საზღვარგარეთელმა სტუმრებმაც. გულითად მადლობას ვუხდი ყველას. (ტაში).

ალბათ, ცოტა გადაჭარბებულიც იყო ქება, უამისოდ ჩვენში ხომ იუბილე იშვიათად იმართება. (სიცილი). ამის შესახებ ჯერ კიდევ ლენინმა თქვა, გვაფრთხილებდა, რომ ჩვენ, კომუნისტები არ გავყოყოჩდეთ, საქმე არ დაგვავიწყდეს, მაშ, მოდით მივსდიოთ ლენინის ამ ანდერძსაც. (ტაში).

ყველაფერი, რაც შევძელი გამეკეთებინა ცხოვრებაში — წარმოებაში, ბრძოლაში, პოლიტიკური და სახელმწიფო მუშაობის ასპარეზზე — გავაკეთე ჩვენი ლენინური პარტიის მოწოდებით, პარტიისა, რომლის ერთგული შვილი ვარ უკვე ორმოცდაათი წელია და ვიქნები სანამ სული მიდგას. პარტია—ეს ჩვენი ძალის წყარო, (ტაში) ეს პროჟექტორია, რომელიც წინსვლის გზას გვინათებს, ეს დიდი ხალხის საუკეთესო შვილების კოლექტიური გონებაა. ეს, როგორც ჩვენში ხშირად და სამართლიანად ამბობენ, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია. (ტაში).

მთელ თავის საქმიანობას პარტია უქვემდებარებს ხალხის ინტერესებს, მის კეთილდღეობას, და ამიტომ მთელი ხალხის გაგებითა და მხარდაჭერით სარგებლობს. ეს არის მისი ძალის წყარო, ყველა მისი გეგმის წარმატებით განხორციელების გარანტია. (ტაში).

ყველა უბანზე, სადაც კი მომუშავია, საქმე, საბოლოო ანგარიშით, ეხებოდა სამი მთავარი ამოცანის გადაწყვეტას: ეკონომიკის აღმავლობას, იდეურ-აღმზრდელობით მუშაობას და, ბოლოს, თავდაცვის განმტკიცებასა და მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლას. აი ჩვენი პარტიის საქმიანობის „სამი ვეშაპი“, პარტიისა, რომლის უზენაესი მიზანია ხალხის ბედნიერება. (ტაში). არ დაგენანება მთელი ცხოვრება მოახმარო ამ დიად საქმეს. ვამაყობ, რომ ვარ ერთი იმათგანი ვისაც ეს წილად ხვდა. (ტაში).

კიდევ ერთი რამ მინდა გითხრათ. ალბათ, მთელი ჩვენი მუშაობა ჰაერში იქნებოდა გამოკიდებული, რომ ყოველდღე არ ვეყრდნობოდეთ ადგილობრივ პარტიულ ხელმძღვანელთა უდიდეს, დაუცხრომელ შრომას ყველგან ჩვენს უზარმაზარ ქვეყანაში. და, უწინარეს ყოვლისა, აქ უნდა ვახსენოთ მუშაობა, რომელსაც ეწევიან მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივნები, პარტიის სამხარეო და საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები. მათ მხრებზე აწევთ ზრუნვის კოლოსალური ტვირთი. ისინი აგებენ პასუხს ხალხის ცხოვრების ყველა სფეროში მუშაობის ორგანიზაციისათვის. საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რა ძნელია და რაოდენ საინტერესოც არის ეს. სწორედ ამიტომ ამ საზეიმო ჟამს მინდა ყველა მათგანს გულთბილად გადავუხადო მადლობა, ჯეროვნად დავაფასო ამ ამხანაგების — პარტიის პოლიტიკის ერთგული და საიმედო გამტარებლების შრომა. (ხანგრძლივი ტაში).

ძვირფასო მეგობრებო! როცა დგება დრო და უნდა გადააბიჯო ცხოვრების გზის მორიგ მიჯნას, უნებლიედ უფიქრდები იმასაც, რაც იყო, და იმასაც, რაც იქნება.

წარსულის შესახებ ბევრის ლაპარაკი არ არის საჭირო, იგი ყველასთვის ცნობილია. წარსულის წინაშე, ვფიქრობ, პირნათელი ვარ. უფრო მეტად მაფიქრებს ის, რა უნდა მოიმოქმედონ პარტიამ და ხალხმა მომავალ წლებში. და, მართალი გითხრათ, იმისათვის, რისი წილნაყარიც მინდოდა ვყოფილიყავ, ჯერჯერობით შემწევს ძალა. (ტაში). არადა, ამხანაგებო, გასაკეთებელი კოლოსალურად ბევრია!

ჩვენ შევქმენით მძლავრი, ტექნიკურად კარგად შეიარაღებული სოციალისტური სახალხო-სამეურნეო ორგანიზმი. ჩვენ მოვამზადეთ სპეციალისტების უზარმაზარი არმია ეკონომიკის, მართვის, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. მაგრამ ამას ვერ დავჯერდებით.

ახლა საქმე ის არის, რომ მოვაგვაროთ ამ მექანიზმის და აქ დასაქმებული ყველა ადამიანის ზუსტი და შეუფერხებელი მუშაობა.

საჭირო იქნება — და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია — მოწინავე ტექნიკასა და შრომის მეცნიერულ ორგანიზაციაზე დაყრდნობით მნიშვნელოვნად გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება მთელ ჩვენს სახალხო მეურნეობაში. თანაც ისე, რომ იგი ჩვენში ნაკლები კი არა, მეტი იყოს, ვიდრე კაპიტალიზმის ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშია. სოციალისტური წყობილება ამის შესაძლებლობებს გვაძლევს. საკითხი მხოლოდ ის არის, რომ შევძლოთ მათი სწორი გამოყენება, ვისწავლოთ რაციონალური, ყაირათიანი მეურნეობრიობა.

მნიშვნელოვნად უნდა გავაუმჯობესოთ ეკონომიკის მართვა ჩვენი ხალხის გამოცდილებისა და შემოქმედებითი ინიციატივის გათვალისწინებით, ყოველივე იმ საუკეთესოს გათვალისწინებით, რაც მოძმე სოციალისტური ქვეყნების, განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოების გამოცდილებაშია.

უნდა შევიმუშაოთ და ყველგან დავნერგოთ უზადოდ მოქმედი სტიმულების — მორალური და მატერიალური სტიმულების

სისტემა, რომელიც ადამიანს
გაუღვივებს სურვილს იმუშ
მაქსიმალური უკუგებით, დღ
ნიადაგ აუმჯობესონ პროდუქ
ის ხარისხი.

ახალ დონეზე უნდა ავიყვან
ყველა საბჭოთა ადამიანის
ქალაქეობრივი შეგნება,
დამოკიდებულება შრომისა
სოციალისტური საკუთრებისა
მტკიცე დისციპლინა და კულტ
მუშაობაში, საზოგადოებ
ცხოვრებასა და ყოფაში.

ყველაფერი ეს უნდა გავ
თოთ, ამხანაგებო, თუ გვ
რომ დავძლიოთ სიძნელე
რომლებსაც დღემდე ვაწყდებ
ქვეყნის განვითარებაში. მე
გეტყვით: ყველაფერი ეს სრ
იად აუცილებელია იმისათ
რომ წარმატებით გადავწყვიტ
ჩვენი პარტიისა და საბჭოთა
ლხის მთავარი ამოცანა —
მუნისტური საზოგადოების
ნების ამოცანა. სწორედ ამას
ახავს მიზნად პარტიის XX
ყრილობის გადაწყვეტილებ

ყოველივე ეს პარტიის, ყვ
საფეხურის საბჭოების, პრო
კავშირების, კომკავშირის, მ
ლი ჩვენი ხალხის საქმიანო
უდიდესი ასპარეზია.

და, რა თქმა უნდა, ყველაფე
უნდა ვიღონოთ, რაც კი ძა
გვიძს, რათა უზრუნველვყოთ ქ
ყნის უშიშროება და მტკიცე
იმედო მშვიდობა. ეს კი ახლა
ელ მწვავე და დაძაბულ სა
თაშორისო ვითარებაში სულ
არ არის ადვილი საქმე.

უცხოელ სახელმწიფო მოღ
წეებთან საუბრისას ზოგჯერ მ
ისმენია ასეთი მსჯელობა, ბრ
ჟნევის მშვიდობისმოყვარეობ
სა კი გვჯერა, მაგრამ სხვე
თქვენში, სსრ კავშირში, როგ
ფიქრობენ, არ ვიცითო.

მინდა ვუთხრა ბატონებ
რომლებიც ასე მსჯელობენ: ნ
ლებად გცოდნიათ საბჭოთა
ვშირი. ბრეჟნევის ერთგული
მშვიდობის საქმისადმი სწორ
იმით აიხსნება, რომ იგი გამო
ტავს მთელი საბჭოთა ხალ
(ხანგრძლივი ტაში) და,
თქმა უნდა, მთელი საბჭო
ხელმძღვანელობის ფიქრებსა
გრძნობებს. გამოხატავს ჩვე
პარტიისა და სახელმწიფოს მტ
ცე და განუხრელ გზას საგარ
პოლიტიკაში. (ტაში). ეს
თანამიმდევრულად ხორციელ
ბა ლენინის დროიდან დღ
დე. (ტაში). მშვიდობისა და ს
ქვეყნებთან მშვიდობიანი თან
არსებობის საქმის ერთგულ
განისაზღვრება ჩვენი საზოგად
ების თვით ხასიათით. სწორ
ამიტომაც ჩვენ არა გვყავს
არც გვეყოლება ომის, აგრეთ
პოლიტიკაში ავანტიურიზმის მ
მხრენი. ასეა ახლა, ასე იქნ
კვლავაც. (ტაში).

ჩემი სიტყვის დასასრულს, მ
ნდა შემოგთავაზოთ სადღეგრძ
ლო:

— გაუმარჯოს ჩვენს დიდ ს
ჭოთა ხალხს! (ხანგრძლივი ტაშ

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშ
რის კომუნისტურ პარტიას
ლენინის პარტიას, კომუნისტუ
მშენებლობის ხუროთმოძღვა
(ხანგრძლივი ტაში).

— გაუმარჯოს სოციალისტ
სახელმწიფოთა სახელოვან თა
მეგობრობას, თანამედროვე ის
ტორიის ერთ-ერთ მთავარ მ
ძრავებელ ძალას! (ხანგრძლ
ტაში).

— გაუმარჯოს მტკიცე მშ
დობას მთელ მსოფლიოში! (ხ
გრძლივი ტაში).

— ჯანმრთელობასა და წარ
ტებებს გისურვებთ, ძვირფა
ამხანაგებო! (მქუხარე, ხანგრძლ
ვი ტაში).

●

დარბაზობის მონაწილენი ფ
ზე დგებიან და ლეონიდ ილ
ძე ბრეჟნევს მხურვალე, ხანგ
ლივ ოვაციას უმართავენ.

თავმჯდომარე ამხ. მ. ა. ს
ლოვი ამბობს სადღეგრძელოს
ძვირფასო ამხანაგებო! ნ
მიბოძეთ ერთხელ კიდევ წარ
ვთქვა ჩვენი ძვირფასი ლეონ
ილიას ძე ბრეჟნევის, მისი ჯ
მრთელობისა და ბედნიერებ
სადღეგრძელო,- ვუსურვოთ ახ
წარმატებანი კეთილშობილ
მოღვაწეობაში ჩვენი დიადი ს
ციალისტური სამშობლოს აყვ
ბისათვის, მთელი მსოფლიოს ს
ციალიზმისა და მშვიდობის ინ
რესებისათვის. (ხანგრძლივი ტ
ში).

ჯანმრთელობა, ბედნიერება
კეთილდღეობა ვუსურვოთ ლ
ნიდ ილიას ძის ოჯახის წევრ
რომლებიც თავიანთი ზრუნვ
და გულითადობით ეხმარებ
მას უაღრესად ძნელ და კეთ
შობილურ მუშაობაში (ხანგ
ლივი ტაში).

გაუმარჯოს დიდი ლენინის
ერ შექმნილ საბჭოთა კავში
კომუნისტურ პარტიას, და
შტაბს — ცენტრალურ კომიტ
(ხანგრძლივი ტაში).

ჯანმრთელობას ვუსურვებ
დარბაზში მყოფ ამხანაგებს! (ხ
გრძლივი ტაში).

გისურვებთ, ძვირფასო ამ
ნაგებო, ახალ წარმატებებს კო
ნიზმის საკეთილდღეო შრომა
(მქუხარე ტაში).

**ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნ
მიმართა მოძმე ქვეყნების ხე
ძღვანელებს და სთხოვა გადაე
ამ ქვეყნების ხალხებს გულ
დი სალამი, უსურვონ აყვავ
და ბედნიერება.**

●

დარბაზობის დროს გამ
ხელოვნების ოსტატთა კონცე
რომელშიც მონაწილეობდნენ
კავშირის სახალხო არტისტებ
ბიეშუ, ლ. ზიკინა, მ. მაგომ
ე. ნესტერენკო, ა. რაიკინ
სლიჩენკო, რუსეთის სფსრ
ლხო არტისტი თ. სინიავს
რუსეთის სფსრ დამსახურებ
არტისტი ა. სლობოდიანიკ,
რაინის სსრ დამსახურებული
ტისტები მებანდურეთა ტრ
შუტკო, ა. მამჩენკო და ს.
როვა, ყაზახეთის სსრ დამს
რებული არტისტი ა. დნ
მოსკონცერტის მსახიობები,
კავშირის სპორტის ოსტ
იანკოვსკები.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნ
დაბადების სამოცდათხუთმ
წლის თავისადმი მიძღვნ
დარბაზობამ განსაკუთრებ
გულითადობისა და გულთბი
ბის ვითარებაში ჩაიარა.

(საქტ

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა

დარბაზობაზე კრემლში 1981 წლის 19 დეკემბერს

ადამიანი, უწინარეს ყოვლისა, თავისი ერის შვილია.

მამულიშვილი — პიროვნებაა.

არიან ხალხნი და პიროვნებანი, რომლებსაც თვით ისტორია მოუხმობს გამორჩეული მისიისათვის.

რუსი ხალხი სოციალისტური ცივილიზაციის მედროშეა. ამის დასტურია ჩვიდმეტის ოქტომბერი და ორმოცდახუთის მაისი.

რუსი ხალხი ბუნებით რევოლუციონერია. ჩვენი დროის გამოჩენილი რევოლუციონერია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

რუსი ხალხის გამჭრიახი გონება, დიდბუნებოვნება, კეთილი გული — საყოველთაოდ ცნობილი ფენომენია. ლეონიდ ილიას ძის პიროვნება სიბრძნის განსახიერება, ჰუმანიზმის; ადამიანისადმი ნდობის ნიმუშია.

კაცობრიობამ შეიცნო რუსი ხალხის შემოქმედი სული, მისი გენია. ამხანაგი ბრეჟნევი, თავად დიდი შემოქმედი, მთელი პარტიის ცხოვრების ნორმად ამკვიდრებს შემოქმედებითს შემართებას.

რუსი ხალხის სულგრძელობის, სამართლიანობის, ჩაგრულთა ქომაგობის, ერთგული მეგობრობის მაგალითად მარტო რუსთა და ქართველთა 200-წლოვანი ძმობაც იკმარებდა. თავისი ცხოვრებით ლეონიდ ილიას ძემ თვით აღუმართა ძეგლი ინტერნაციონალიზმს, დემოკრატიზმსა და ხალხთა მეგობრობას.

რუსი ხალხი მრისხანე და მედგარია მტერთან ბრძოლაში. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის არსება კლასობრივი ინტერესების ერთგულების საწყაოა, გმირობა და თავდადებაა.

ხალხები დიდ რუსეთთან ნებაყოფლობით კავშირს იმიტომ ესწრაფოდნენ, რომ იწამეს სინათლე, მშვიდობა და მომავალი. ბრეჟნევის ნათელი აზრი, მისი ტიტანური მოღვაწეობა მშვიდობისათვის იმედის ბურჯად უდგათ კეთილი ნების ადამიანებს.

ასე გახდა რუსი ხალხი უფროსი ძმა საბჭოთა მოძმე ხალხების ოჯახში. ასე გახდა ლეონიდ ილიას ძე — დიდი რუსი მამულიშვილი, ყველა ერის, მათ შორის ქართველთა სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, ინტერნაციონალური დედასამშობლოს ნების გამომხატველი, მისი ბაირახტარი.

ხალხის შვილს, ძვირფას ლეონიდ ილიას ძეს, ბედნიერად დასდგომოდეს ახალი, მომავალი საუკუნე!

გულითადად ულოცავენ

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს დაბადების 75 წლისთავისა და ლენინის ორდენითა და საბჭოთა კავშირის გმირის მეოთხე „ოქროს ვარსკვლავის" მედლით დაჯილდოების გამო ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს გულითადად ულოცავენ:

სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტი და მოსკოვის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი;

სკკპ ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტები, სახალხო დეპუტატთა საოლქო და საქალაქო საბჭოები;

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭო;

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო;

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრო და საბჭოთა არმიისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველო;

საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭო;

სრულიად საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი;

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია.

● ●

ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ფილიპოვი;

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. ჰონეკერი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი;

ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლე ზუანი, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ჩიონგ ტინი, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფამ ვან დონგი და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარე ნგუენ ჰიუ თხო;

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. დრაგოსავაცი;

კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი კიმ ირ სენი;

კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფიდელ კასტრო რუსი;

მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ცედენბალი;

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული ხსნის სამხედრო საბჭოს სახელით ვ. იარუზელსკი და ჰ. იაბლონსკი;

რუმინეთის კომპარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ნ. ჩაუშესკუ;

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. კადარი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ლოშონცი;

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

(საქტასი).

ცხოვრება—გმირობა

ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 75 წლის თავისადმი მიძღვნილი მიტინგები საქართველოში

— **ლეონიდ** ილიას ძე ბრეჟნევის მთელი ცხოვრება თავისი ხალხის, ლენინური კომუნისტური პარტიის უანგარო სამსახურის მაგალითია. თითოეული საბჭოთა ადამიანი ლეონიდ ილიას ძისაგან სწავლობს სამშობლოს სიყვარულს, ბრძოლას ჩვენს პლანეტაზე მშვიდობისათვის, — თქვა თბილისელმა ავიამშენებელმა ა. უბილავამ. — ჩვენთვის ღირსშესანიშნავ დღეს, საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის დაბადების დღეს მტკიცე მუშურ სიტყვას ვიძლევით, რომ კვლავაც გავამრავლებთ პარტიისა და ხალხის სახელოვან რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს, შევიტანთ წვლილს მშვიდობის განმტკიცებაში.

ძვირფას ლეონიდ ილიას ძეს გულითადად მიულოცეს, დიდი და გულწრფელი მადლობა მოახსენეს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვისათვის ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადირმა მ. მარკა-ოვსიანიკოვამ, ამწყობმა [illegible]ენქალმა, საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატმა ი. ტალახაძემ, ქარხნის სხვა მშრომელებმა.

— სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი და საბჭოთა კავშირის გმირის მეოთხე ოქროს ვარსკვლავი, მოძმე სოციალისტური ქვეყნების საპატიო ჯილდოები ღირსეულად აგვირგვინებს ლენინის საქმის ერთგული მებრძოლის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის 75 წლის ცხოვრების გზას, — თქვა წარჩინებულმა წარმოების მუშაკმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მ. ალბუთაშვილმა. მან გამოხატა თავისი თანამოსაქმე ამხანაგების — გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების მშრომელთა ფიქრები და გრძნობები, რომლებიც შეიკრიბნენ შრომის კლუბში საზეიმო მიტინგზე, რათა ერთხელ კიდევ გამოეხატათ სიყვარული და პატივისცემა ადამიანისადმი, რომელსაც უკვე ჩვიდმეტი წელია განუსაზღვრელი წვლილი შეაქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკაში.

საქართველოს მრეწველობის განვითარებისათვის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მრავალმხრივი საქმიანობის მნიშვნელობაზე, იმაზე, თუ როგორ ეხმარება რესპუბლიკის მშრომელებს მისი მითითებანი და რჩევა-დარიგებანი ახალი შრომითი გამარჯვებების მოპოვებაში, ილაპარაკეს მიტინგზე გაერთიანების პარტკომის მდივანმა ზ. კაჭკაჭიშვილმა, მქსოველმა ქ. ქურდაძემ, კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირმა ა. ბულგაკოვამ.

დიდძალი ხალხი შეიკრიბა თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" მეთაური საწარმოს საამწყობო საამქროში.

„არასოდეს არ დაგვავიწყდება ძვირფასი ლეონიდ ილიას ძის ყოფნა თბილისში, საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმობაზე, — თქვა მიტინგზე თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის გამომცდელმა, მემანქანემ ს. კვინიკაძემ. — თითოეული ჩვენგანი ნათლად დარწმუნდა მის გულითადობასა და ადამიანურობაში, თითოეულმა ჩვენგანმა იგრძნო გულწრფელი ზრუნვა იმისათვის, რომ ჩვენ, საბჭოთა ადამიანები უკეთ ვცხოვრობდეთ. გმადლობთ, ლეონიდ ილიას ძევ!

— ჩვენი საჩუქარი ძვირფასი ლეონიდ ილიას ძისადმი ის არის, რომ მისი დაბადების დღისათვის შევასრულებთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიურ გეგმას, — განაცხადეს რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 13 ტრესტის მშენებლებმა, რომლებიც საგულისხმო თარიღის აღსანიშნავ მიტინგზე შეიკრიბნენ.

მიტინგს წინ უძღოდა დამატებითი პოლიტიკური მეცადინეობა ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის „მოგონებების" გამო, რომელიც ტრესტის ყველა ქვეგანაყოფში გაიმართა. მოეწყო თემატური ფოტოგამოფენები, რომლებიც საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის ცხოვრებასა და მოღვაწეობას აშუქებს.

— ჩვენ ყველამ ვიცით, თუ რამდენი ენერგია ჩააქსოვა ლეონიდ ილიას ძემ ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის ობიექტების აღორძინებაში, — თქვა მიტინგზე შემდუღებელმა ე. კაპანაძემ, — ვხელმძღვანელობთ რა მისი ბრძნული მითითებებითა და რჩევა-დარიგებებით, დღეს ვაშენებთ ახალ შენობებს, რესპუბლიკის ხვალინდელ დღეს, რომელსაც ლეონიდ ილიას ძე ესოდენ დიდ ყურადღებას უთმობს.

მიტინგზე, რომელზეც აგრეთვე გამოვიდნენ ტრესტის მმართველი კ. მხეიძე, კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ა. ელიკაშვილი და სხვები, მშენებლებმა იკისრეს ვალდებულება — წლის დამლევამდე დარჩენილ დღეებში გეგმის გადაჭარბებით შეასრულონ კიდევ 600 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 75 წლის თავისა და მისთვის საპატიო ჯილდოების გადაცემის აღსანიშნავი საზეიმო მიტინგები გაიმართა 19 დეკემბერს რესპუბლიკის სხვა საწარმოებში, მშენებლობებზე და მეურნეობებში.

(საქინფორმი).

ჩვენი ძალაა ერთობა და შეკავშირება

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის „ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის" გამოსვლის გამო

რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში მეცნიერული კომუნიზმის შესახებ პირველ სიტყვებად შევიდა ლოზუნგი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" — ძმობის ლოზუნგი, მშრომელ ადამიანთა ერთობის ლოზუნგი. იგი მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი პრინციპის არსს გამოხატავს და წარწერილია დროშაზე, რომლითაც გაიმარჯვა ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ, რომლითაც ყალიბდებოდა და ძალას იკრებს სოციალისტური თანამეგობრობა, რომლითაც იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის იბრძვიან თანამედროვეობის რევოლუციური ძალები.

პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმი ახალი საზოგადოების, ახალი ცხოვრების აღმშენებელთა მძლავრი და ნაცადი იარაღია. ეს არის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ღერძი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობისა და საერთაშორისო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი საწყისი პუნქტი და ორიენტირი.

ამიტომ კანონზომიერია, რომ პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპის დამკვიდრება და განვითარება ჩვენი პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის, ლენინური ტიპის ინტერნაციონალისტი კომუნისტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ყოველდღიური ზრუნვის საგანია. ამის ახალი დასტურია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნი „ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის" შესახებ. იგი ეს-ეს არის გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ.

✦ ✦

საბჭოთა ადამიანები ამაყად და სავსებით მართებულად უწოდებენ თავიანთ თავს ინტერნაციონალისტებს. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებზე აღზრდილნი, ისინი ინტერნაციონალისტები არიან „თვით თავიანთი ბუნებით" (გვ. 363). მშრომელთა სოლიდარობისა და ერთობის დიდებული პრინციპი დღეს ჩვენს ცხოვრებაში უფრო სრულად, უფრო ფართოდ და მრავალფეროვნად იხვამს ხორცს, ვიდრე ოდესმე წინათ. ეს ჩვენი სამშობლოს განვითარების, მისი მოქალაქეების რამდენიმე თაობის აღმშენებლობითი მოღვაწეობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თანამიმდევრული აღმზრდელობითი საქმიანობისა და ლენინური ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი შედეგია.

სსრ კავშირის ისტორია — ეს არის ხალხთა ურღვევი ერთობისა და მეგობრობის შობის ისტორია, მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს არნახული ზრდისა და ყოველმხრივი განვითარების ისტორია, ამ სახელმწიფოს ფარგლებში შეკავშირებული ყველა რესპუბლიკის, ჩვენს ქვეყანაში მოსახლე ყველა ერისა და ეროვნების ზრდისა და ჭეშმარიტი აყვავების — ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული აყვავების ისტორია. ეს დიადი ისტორია არ შეიძლებოდა არ ასახულიყო საბჭოთა ადამიანის მსოფლმხედველობაში, მის ფსიქოლოგიაში, სხვა ადამიანებისადმი დამოკიდებულებაში. „ოქტომბრის შემდეგ ჩვენი ისტორიის მთელმა მსვლელობამ გვიჩვენა, რაოდენ ამაღლებული მორალურ-პოლიტიკური თვისებებით არიან შემკული საბჭოთა ადამიანები, რა უკვდავი გმირობის უნარი შესწევს საბჭოთა ადამიანს, თავისუფალ, შეგნებულ მშრომელს, პატრიოტსა და ინტერნაციონალისტს. ეს არის სოციალიზმის ერთ-ერთი ყველაზე ფასდაუდებელი მონაპოვარი", — აღნიშნულია კრებულში (გვ. 571).

საბჭოთა ადამიანებმა პრაქტიკულად დაინახეს მთელ მსოფლიოს რისი მიღწევა შეუძლიათ ხალხებს, რომლებიც სოციალიზმის, თანასწორობის, ძმობისა და თავისუფლების პრინციპების საფუძველზე გაერთიანდნენ. ხალხთა შეკავშირებისა და ურთიერთდახმარების ძალამ არნახულად დააჩქარა ყველა რესპუბლიკის განვითარება. ერთა შორის შუღლმა და უნდობლობამ ადგილი დაუთმო მეგობრობას და ერთმანეთის პატივისცემას. იქ, სადაც საუკუნეთა მანძილზე ნერგავდნენ ეროვნული ეგოიზმის ფსიქოლოგიას, მტკიცედ დამკვიდრდა ინტერნაციონალიზმი. ახალი ხასიათის ფერებით გაბრწყინდა ერთმანეთით გამდიდრებული ეროვნული კულტურები, რომლებიც ერთიან საბჭოთა სოციალისტურ კულტურას ქმნიან. ჩამოყალიბდა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. ერთა დაახლოების მზარდი პროცესი მსჭვალავს ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს.

საბჭოთა ხალხების ძმობის ცხოველმყოფელი ძალა განსაკუთრებით მძლავრად ვლინდება მათს შრომითს საქმეებში — ამ თემას ეძღვნება ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის მრავალი ფურცელი. იგი წერს იმაზე, თუ როგორ აღადგენდა მთელი ჩვენი ქვეყანა დნეპრჰესსა და „ზაპოროჟფოლადს": „სამშენებლო მოედანთან იდგა კარვები წარწერებით: „გორკი", „რიგა", „ტაშკენტი", „ბაქო", „შორეული აღმოსავლეთი" (გვ. 632); იმის შესახებ, თუ როგორ ტეხდა ყამირს მთელი ჩვენი ქვეყანა: „მისი გეოგრაფია ასახულია თვით საბჭოთა მეურნეობების სახელებში — „მოსკოვის", „ლენინგრადის", „მინსკის", „კიევის", „დნეპროპეტროვსკის", „არმავირის", „პოლტავის", „ტალინის", „სოჭის", „პერმის", „იაროსლავლის", „ვორონეჟის" (გვ. 636); იმის შესახებ, თუ როგორ აშენებდა მთელი საბჭოთა ხალხი თურქმენეთ-ციმბირის რკინიგზას, ურალ-კუზბასს და კამაზს, როგორ აღადგენდა ტაშკენტს და როგორ გაჰყავს ბამი (გვ. 666-667). ჩვენი მრავალმილიონიანი, მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი ჭეშმარიტად ერთიანი მწყობრით მიდის ახალი გამარჯვებებისაკენ. სწორედ ეს არის პრაქტიკულად ხორცშესხმული ხალხთა მეგობრობის ლენინური პოლიტიკა, ინტერნაციონალიზმის ლენინური იდეები.

კრებულში რელიეფურად არის ნაჩვენები სსრ კავშირში ეროვნული საკითხის — საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი უმწვავესი, ერთ-ერთი უძნელესი საკითხის გადაწყვეტის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა. ავტორი აღნიშნავს, რომ რუსეთში, მისი სპეციფიკური პირობების გამო, ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ იდგა, და გვიჩვენებს ეროვნული კუთვნილების მიუხედავად, საერთო კლასობრივი ინტერესებითა და მიზნებით გაერთიანებული მშრომელი ადამიანების დიადი ძმობის შობისა და განმტკიცების პროცესს (გვ. 558). აქ მოცემულია ეროვნული საკითხის თვით არსი და მისი გადაწყვეტის გზა: ვიაროთ ერთა შეკავშირების, ერთობისა და ყოველმხრივი დაახლოებისაკენ სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან მათი სრული განთავისუფლების გზით, თითოეული მათგანისათვის განვითარების მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შექმნის გზით.

ამ ლენინური გეზისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ურყევი ერთგულება, სსრ კავშირის შემადგენლობაში შესული რესპუბლიკების განვითარებაში ზოგადისა და განსაკუთრებულის გულმოდგინე გათვალისწინება, რუსი ხალხის ძმური დახმარება და მხარდაჭერა — ყოველივე ამან, ისტორიის თვალსაზრისით ძალზე მოკლე დროში, იქამდე მიგვიყვანა, „რომ ძველი რუსეთისათვის ესოდენ ჩვეულებრივი ცნება, — ჩამორჩენილი ეროვნული განაპირა მხარე — გაქრა" (გვ. 561), „რომ ეროვნული საკითხი იმ სახით, როგორითაც იგი მემკვიდრეობად დაგვიტოვა წარსულმა, მთლიანად გადაიჭრა, გადაიჭრა საბოლოოდ და შეუქცევად" (გვ. 558). ყაზახეთსა და საქართველოში, სომხეთსა და უზბეკეთში, აზერბაიჯანსა და მოლდავეთში, სკკპ ყრილობებზე და საერთაშორისო თათბირებზე გამოსვლებში, კრებულის სხვა მასალებში ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი გვაძლევს იმ შესაძლებლობათა ვრცელ სურათს, რომლებიც ხალხებს მისცა სოციალიზმმა, გვიჩვენებს, რა ბრწყინვალედ განხორციელდა ეს შესაძლებლობანი. დღეს, როცა მსოფლიოს მრავალი ათეული ხალხი, თავიდან მოიშორა რა კოლონიალიზმის უღელი, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას იძენს და ეროვნულ ურთიერთობათა დარგში უამრავ პრობლემას აწყდება, ჭეშმარიტად ფასდაუდებელია საბჭოთა გამოცდილების ჩვენება, ჩვენი ეროვნული პოლიტიკის იდეურ-თეორიული საფუძვლების განმარტება.

ავტორი გვიჩვენებს, რომ ჩვენი პარტია, რომლისთვისაც ლენინურად უცხოა „ილუზიები და უტოპიები", დინჯად და რეალისტურად აფასებს მიღწევებს საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. კერძოდ, ის ფაქტი, რომ საბჭოთა ერების ერთობა დღეს ისე მტკიცეა, როგორც არასდროს, სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს ეროვნული ურთიერთობის სფეროში ყველა საკითხი გადაწყვეტილი იყოს. განვითარებული სოციალიზმის საზოგადოებაში ეს ურთიერთობა რეალობაა, რომელიც დღენიადაგ ვითარდება, ახალ პრობლემებსა და ამოცანებს სვამს, მოითხოვს პარტიისაგან ყოველდღიურად იზრუნოს საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, დიადი საბჭოთა სამშობლოს მოქალაქეობის მხურვალე გრძნობით მშრომელთა აღზრდისათვის.

✦ ✦

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი განსაკუთრებული ყურადღებით აანალიზებს პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის როლს სოციალიზმის ქვეყნებთან ჩვენი მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების დამკვიდრებაში, ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის, თანამედროვეობის მთელი პროგრესული ძალების მხარდაჭერაში. და ეს გასაგებია. საბჭოთა ადამიანებს, ჩვენს პარტიას სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობა მიაჩნიათ „მთელი მსოფლიოს მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის შემადგენელ ნაწილადაც..." (გვ. 11).

ყოველი ხალხის ბუნებრივი სურვილი და ოცნებაა იმეგობროს, კეთილი ურთიერთობა ჰქონდეს სხვა ხალხებთან, მაგრამ ანტაგონისტური საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებიც უპირისპირებენ ერთ კლასს მეორეს, ერთ ჯგუფს — მეორეს, ზუსტად ასევე უპირისპირებენ და ჰკიდებენ ერს — ერს, ხალხს — ხალხს. და მხოლოდ სოციალისტური თანამეგობრობის წარმოშობამ დაგვისახა ისეთი საერთაშორისო ურთიერთობების განმტკიცების შესაძლებლობა, რომელიც, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის თქმით, „ნამდვილად გახდა ხალხთაშორისი ურთიერთობა", — ნამდვილად სამართლიანი, თანასწორუფლებიანი, ძმური ურთიერთობა. ინტერნაციონალიზმის იდეამ, მისმა გავლენამ პოლიტიკურ პრაქტიკაზე უმაგალითოდ გააფართოვეს თავიანთი საზღვრები.

სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა ურთიერთობაში ინტერნაციონალიზმის პრინციპის განხორციელებას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება და ფართო ასპარეზი ექმნება. ჩვენს ხალხებს ხომ ძირეული ინტერესები აერთიანებს, ჩვენ ერთი ტიპის ეკონომიკური საფუძველი გვაქვს. ჩვენში ერთი ტიპის სახელმწიფო წყობილებაა — ხალხის ხელისუფლება მუშათა კლასის მეთაურობით. ჩვენ გვაქვს ერთიანი იდეოლოგია — მარქსიზმ-ლენინიზმი, ჩვენ გვაქვს საერთო ინტერესები უშიშროების უზრუნველყოფის, მშვიდობის, სოციალიზმის მონაპოვართა დაცვის საქმეში, ჩვენ გვაქვს ერთი მიზანი — კომუნიზმი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველი სოციალისტური ქვეყნის ფუნდამენტური, ძირეული საგარეო-პოლიტიკური ინტერესი ის არის, რომ განამტკიცოს სოციალისტური ქვეყნების შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საიმედო საფუძველზე.

შეთანხმებული მოქმედება ძალას მატებს რევოლუციონერებს — ამ აზრს ავტორი მრავალგზის უბრუნდება. დღეს იგი განსაკუთრებით გვჭირდება. ვინ არ იცის: რეაქციისა და იმპერიალიზმის ძალები დღეს სწორედ იმაზე ამყარებენ იმედს, რომ დაქსაქსავენ სოციალიზმის ქვეყნებს, შუღლს ჩამოაგდებენ კომუნისტებს შორის; ისინი სულ უფრო გაშმაგებულად და მუხანათურად მოქმედებენ. ამის ერთ-ერთი უკანასკნელი მაგალითია პოლონეთის ამბები, სადაც ანტისოციალისტურმა, კონტრრევოლუციურმა ძალებმა სცადეს მოესპოთ ხალხის სოციალისტური მონაპოვარნი.

თანამედროვე სოციალისტური სამყარო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნში წარმოდგენილია მისი მთელი სიგრძე-სიგანით, როგორც ლენინი ამბობდა, „ცოცხლად და ცხოვლად", რეალური სიტუაციების მთელი მრავალფეროვანი სიმდიდრით. ჩვენ სოციალისტური ინტერნაციონალიზმის გამარჯვებას ვხედავთ გმირი ვიეტნამის, რევოლუციური კუბის, მრავალტანჯული კამპუჩიისადმი მოძმე ქვეყნების თანამიმდევრულ მხარდაჭერაში, მსოფლიო სოციალიზმისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კავშირის განმტკიცების კურსის განხორციელებაში. ინტერნაციონალიზმის პრაქტიკულ გამოვლინებად წარმოუდგება მკითხველს სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის შემდგომი გაღრმავებისადმი, ერთობლივი შრომის ისეთი წარმატებებისადმი მიძღვნილი ფურცლები, როგორიც არის გაზსადენი „კავშირი", ენერგოსისტემა „მშვიდობა", უსტ-ილიმის ცელულოზის ქარხანა, მონღოლეთის სამთო-მამდიდრებელი კომბინატი „ერდენეტი", კუბის ნიკელის ქარხნები და მრავალი სხვა, რასაც კრებულის ავტორი უწოდებს „მთელ ეპოქას" სოციალიზმის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში. (იხ. გვ. 436). და ამასთანავე — განსჯა ამ პროცესის სირთულეებისა, იმისა, რომ უბრალოდ და ერთბაშად ვერ ხერხდება გადასვლა ეკონომიკის ინტენსიურ განვითარებაზე, დიდმნიშვნელოვანი სოციალური პროგრამების რეალიზაციაზე; ავტორი მსჯელობს კომუნისტური შეგნების ჩამოყალიბებაზე (იქვე), ეროვნული სპეციფიკის გავლენაზე, სოციალიზმის ქვეყნების ისტორიულ თავისებურებებზე.

მათთან ერთიანობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების პროცესში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს იმ ლენინური მითითებით, რომ ხალხთა ახალ, სოციალისტურ ურთიერთობას საფუძვლად უდევს ეროვნული და ინტერნაციონალური ინტერესების სწორი შეხამება. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნი გვაცნობს ასეთი მიდგომის ზოგად მეთოდოლოგიურ მნიშვნელობას, მის უნივერსალურ ხასიათს: იგი განმსაზღვრელია საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთობაში; იგი უდევს საფუძვლად სოციალიზმის მოძმე ქვეყნების თანამოქმედებას; მას ადგას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც განუხრელად ავითარებს ურთიერთობას სხვა კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც ნიადაგ ზრუნავს მოძმე პარტიებთან ურთიერთობის მთელი კომპლექსის განვითარებისათვის, ანგარიშს უწევს ამხანაგურ, კონსტრუქციულ კრიტიკას, მიაჩნია, რომ აქაც სავსებით ბუნებრივია კლასობრივი ბრძოლის კონკრეტულ საკითხთა გადაწყვეტისადმი მიდგომის არაერთგვაროვან შეფასებათა წარმოშობა, განსხვავებანი. კომუნისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობას მოევლება, თუ რა თქმა უნდა, ეს არ არის პრინციპული უთანხმოება რევოლუციონერებსა და რეფორმისტებს შორის, შემოქმედებითს მარქსიზმსა და დოგმატიკურ სექტანტობას, ცრუმემარცხენულ ავანტიურიზმს შორის. აქ კომპრომისი არ იქნება — არ იქნება დღეს ისევე, როგორც ლენინის დროს, „მაგრამ, როცა კომუნისტები საერთო რევოლუციური საქმისათვის იბრძვიან, ჩვენ იმით ვხელმძღვანელობთ, რომ სხვადასხვა შეხედულებისა და პოზიციის გულისხმიერი ამხანაგური განხილვა ყველაზე უკეთ შეესაბამება მათს საერთო მიზნებს" (გვ. 446). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ამ ინტერნაციონალისტურმა მიდგომამ ახალი დადასტურება ჰპოვა ჩვენი პარტიის XXVI ყრილობაზე.

ალბათ, გაზვიადებად არ ჩამოგვერთმევა, თუ ვიტყვით, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ზრუნვა სოციალისტურ ქვეყნებს, მუშათა კლასის პარტიებს შორის ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპის გამარჯვებისათვის მისი უზენაესი ინტერნაციონალური მოვალეობის შესრულებაა.

რამეთუ ყოველგვარ გადახვევას ამ პრინციპისაგან, რითაც უნდა იყოს იგი გამოწვეული და მოტივირებული, — ყოველთვის უდიდესი ზიანი მოაქვს ამა თუ იმ პარტიის მდგომარეობისათვის, კონკრეტული ქვეყნის მშრომელებისათვის, მისი პოლიტიკური პოზიციებისა და ეკონომიკური განვითარებისათვის, ხოლო საბოლოო ანგარიშით — საერთაშორისო მუშათა კლასის საქმისათვის. სამწუხაროდ, აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, მსოფლიო სოციალიზმს აქვს ამგვარი გამოცდილებაც — პეკინელ ხელმძღვანელთა გამთიშველი საქმიანობის მაგალითი, რომელმაც მძიმე განსაცდელი შეუქმნა უწინარეს ყოვლისა თვით ჩინელ ხალხს, და ეს კარგად არის ცნობილი (იხ. გვ. 353).

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი იდეების ერთგულ ჩვენს პარტიას არასოდეს არ განუყვია საბჭოეთის ბედი სხვა ქვეყნების სვე-ბედისაგან. სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკაც, რომლის მიზანია დაამკვიდროს ხალხთა მშვიდობა და თავისუფლება, და ჩვენი საშინაო პოლიტიკაც, რომელიც კომუნიზმის აშენებას ისახავს, მარტოოდენ საბჭოთა ხალხის ძირეულ ინტერესებს კი არ ითვალისწინებენ, არამედ წარმოადგენენ ჩვენს წვლილსაც მთელი მსოფლიოს კომუნისტთა საერთო ბრძოლაში კაცობრიობის უკეთესი მერმისისათვის. ასეთი პოზიციის ჰუმანურობა, ჭეშმარიტად კომუნისტური შინაარსი მხურვალე გამოხმაურებას პოვებს მშრომელთა მასების გულში, მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის გულში.

✦ ✦

ინტერნაციონალიზმის პრინციპების ჭეშმარიტად ლენინური ერთგულების უთვალსაჩინოესი მაგალითია თვით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, იგი იყო ისტორიაში პირველი პოლიტიკური პარტია, იმ პროლეტარულ ორგანიზაციათა გაერთიანების საფუძველზე რომ აშენდა, რომელშიც ყველა ეროვნების მუშები ირაზმებოდნენ ერთიან მებრძოლ ძალად.

ყველა ერისა და ეროვნების მოწინავე წარმომადგენლებს რომ აერთიანებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, აღნიშნულია კრებულში, „ყველაზე მკაფიოდ განსახიერებს სსრ კავშირის მშრომელთა საბრძოლო ამხანაგობასა და მეგობრობას, მთელი საბჭოთა ხალხის ურღვევ ერთიანობას" (გვ. 567). ყველა კომუნისტი ჩვენში — რა ეროვნებისაც უნდა იყოს იგი — ერთიანი ლენინური პარტიის წევრია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ინტერნაციონალისტთა პარტიაა იდეოლოგიისა თუ პოლიტიკის, შემადგენლობისა თუ აგებულების მიხედვით, ნამდვილ რევოლუციურ გადატრიალებას მიაღწია საზოგადოებრივ შეგნებაში — ინტერნაციონალიზმი ერთი მუჭა კომუნისტების იდეალისაგან გადაიქცა ყველა ერისა და ეროვნების მილიონობით საბჭოთა ადამიანის ღრმა მრწამსად და ქცევის ნორმად. და თუ პარტიამ შეძლო მოეხდინა ეს გადატრიალება, იგი უდიდეს წილად არის დაკავშირებული მის შეურიგებელ დამოკიდებულებასთან პარტიის რიგებში ლენინური ეროვნული პოლიტიკის ყოველგვარი გადახვევისადმი. ცნობილია, რომ ყოველი ეროვნების კომუნისტებისაგან ლენინი მუდამ მოითხოვდა მკაფიო და პრინციპულ პოზიციას ეროვნულ საკითხში და აქ არ უშვებდა არავითარ შეღავათს და დათმობას. მის მითითებებსა და ანდერძს პარტია წმიდად ასრულებს თავის საშინაო ცხოვრებაშიც, საბჭოთა ადამიანების პატრიოტულსა და ინტერნაციონალურ აღზრდაშიც, და ამავე დროს ითვალისწინებს, რომ „ნაციონალისტური ცრურწმენა, ეროვნული გრძნობების გაზვიადებული თუ დამახინჯებული გამოვლენა, უაღრესად გამძლე მოვლენებია, რომლებმაც მტკიცედ მოიკიდეს ფეხი პოლიტიკური თვალსაზრისით მოუმწიფებელ ადამიანთა ფსიქოლოგიაში" (გვ. 568). „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იბრძოდა და მუდამ მტკიცედ იბრძოლებს სოციალიზმის ბუნებისათვის ისეთი უცხო გამოვლინებების წინააღმდეგ, როგორიც არის შოვინიზმი თუ ნაციონალიზმი, ყოველგვარი ნაციონალისტური უკუღმართობის წინააღმდეგ", — კიდევ ერთხელ დაადასტურა ეს ლენინური პოზიცია ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა პარტიის XXVI ყრილობაზე.

მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის მეგობრობისა და ერთიანობის განმტკიცება, სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან, კომუნისტურ პარტიებთან და მთელი მსოფლიოს მშრომელებთან ჩვენი ურთიერთობის განვითარება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უმნიშვნელოვანესი საზრუნავია, მისი უზენაესი ინტერნაციონალური საქმის პრაქტიკული აღსრულებაა. სწორედ ინტერნაციონალისტური მიდგომა განსაზღვრავს მნიშვნელოვანწილად ჩვენი პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკასაც — ეს პოლიტიკა ხომ ყველა ხალხის, მთელი მშრომელი კაცობრიობის ინტერესებს შეესაბამება. აი რატომ არის, აღნიშნულია წიგნში, რომ საბჭოთა კომუნისტებს სრული საფუძველი აქვთ განაცხადონ: მთელ მათს საქმიანობას შთააგონებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები (იხ. გვ. 109). და, არსებითად, სწორედ ეს დებულება ზუსტად ასახავს მთელი კრებულის ხასიათსა და შინაარსს.

✦ ✦

პრობლემების განსჯით, მასალის სიუხვით გამორჩეული ნაწარმოები — ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ახალი წიგნი კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი წვლილია თანამედროვე მსოფლიოს უაღრესად რთული და ისოდენ აქტუალური ეროვნული საკითხის დამუშავებაში, ხალხთა მეგობრობის, კეთილი ურთიერთობის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, ყველა ქვეყნის მშრომელების ერთიანობის განმტკიცებაში. სსრ კავშირის 60 წლის თავის დამდეგს გამოცემული ეს წიგნი ცხადყოფს ლენინური პარტიის ურყევ ერთგულებას ინტერნაციონალიზმის დროშისადმი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის და მისი მეთაურის, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დაუშრომელ მოღვაწეობას ჩვენი უზენაესი ინტერნაციონალური მოვალეობის განხორციელებისათვის — კომუნიზმის აშენებისათვის.

„პრავდა".

1981 წლის 18 დეკემბერი.

მრავალჟამიერ მის სიცოცხლეს

ქალაქ მახარაძეში გახსნილი მე-18 არმიის საბრძოლო დიდების რესპუბლიკური მუზეუმის გულდასმით დათვალიერებამ ჩემს მეხსიერებაში გააცოცხლა დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეები, საბჭოთა მეომრების სწორუპოვარი გმირობა, სამშობლოსათვის თავდადება, რომელიც სიმართლით, მაღალმხატვრული ოსტატობით არის გადმოცემული ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის წიგნში „მცირე მიწა".

მე წილად მერგო იმ ბობოქარ დღეებში ვყოფილიყავი მცირე მიწის დამცველთა რიგებში და ბედნიერი ვარ, რომ იმ მამაცურ ბრძოლაში ჩემი მონაწილეობა, კერძოდ, ერთი ეპიზოდი, როცა ჩემმა მეგობარმა პ. ვერეშჩაგინმა შეტევაზე გასვლის წინ 23 წლის მეზღვაურს, სწორედ დაბადების დღეს გადმოსცა ყველაზე ძვირფასი საჩუქარი — 23 ვაშლი, ასე გულთბილად გაიხსენა თავის წიგნში ჩვენი ეპოქის დიდმა ადამიანმა.

არავინ და არაფერი არ გამორჩენია მას. იმ დიდებული წიგნის სტრიქონებში იგრძნობა უაღრესად გულისხმიერი ადამიანის სულიერი სითბო. მაშინაც, „მცირე მიწის" იმ ქარ-ცეცხლიან დღეებში სწორედ ეს ადამიანური სითბო გვაძლევდა ძალას, გვინერგავდა მხნეობას, გვაწრთობდა, გვაკაჟებდა, აღგვანთებდა მტერზე გამარჯვების ღრმა რწმენით და, როგორც იტყვიან, შეუძლებელს გვაკეთებინებდა.

სწორედ ის გულის სითბო ერთ მტკიცე, უძლეველ ძალად გვაკავშირებდა მაშინ ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების ადამიანებს, გვრაზმავდა, რომ საკუთარი სისხლის ფასად დაგვეცვა დედასამშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი... ჩვენ ვამაყობდით, რომ ვიყავით ახალი და ძლიერი სოციალისტური ქვეყნის შვილები და მოქალაქენი.

ერთგულმა ლენინელმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხალხთა ასეთი მეგობრობის ძალა და სიდიადე ერთხელ კიდევ შეგვახსენა საბჭოთა საქართველოს 60 წლის თავის ზეიმზე. ჩვენი დღესასწაულის ერთი ნიშანთვისება, — თქვა მან, — მისი მრავალეროვნული ხასიათია. იგი გახდა კიდევ ერთი დემონსტრაცია იმისა, თუ რაოდენ შედუღაბებული არიან საბჭოთა ხალხები, რაოდენ ერთიანია ჩვენი აზრები, საქმენი და ოცნებანი.

დღეს ოთხი ათეული წელი გვაშორებს „მცირე მიწის" დიდ ეპოპეას. არასოდეს არ უნდა გამეორდეს იგი. ვის, თუ არა იმ ნამდვილი წარღვნის მონაწილეს და თვითმხილველს შეუძლია სრულყოფილად იგრძნოს სიდიადე დღევანდელი მოწმენდილი ჩვენი ზეცისა და დამშვიდებული ზღვისა, რომლისთვისაც ასე თავგამოდებით, ასე თანმიმდევრულად იბრძვის ჩვენი ქვეყანა, მისი კაცთმოყვარე, სიმართლისთვის, სიწმინდისთვის, ადამიანთა ბედნიერებისათვის შეუდრეკელი მებრძოლი ხელმძღვანელი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

მე მერგო წილად კიდევ ერთი ბედნიერება. საბჭოთა საქართველოს 60 წლის თავის ზეიმზე თბილისში ჩამოსული მგზნებარე ლენინელისათვის, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისათვის ლეგენდარული „მცირე მიწის" დიდი ბრძოლების მონაწილეთა სახელით გადამეცა ვერცხლით მოჭედილი ხმალი წარწერით „ძვირფას ლეონიდ ილიას ძეს თანამებრძოლებისაგან". ზღვა სიხარულით, მსოფლიოს უდიდესი ადამიანის სიახლოვით აღფრთოვანებულმა ძლივს მოვახერხე მეთქვა ჩვენი თანამებრძოლების დანაბარები ორიოდე სიტყვა: „ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, მიიღეთ ეს ხმალი ჩვენი საბრძოლო ჭაბუკური წლების მოსაგონრად. მადლობას გიძღვნით იმ სიხარულისათვის, რომელიც ამ დღეებში მოგვანიჭეთ".

იმ ჭაბუკური წლების შემდეგაც ოთხმა ათეულმა წელმა ჩაიარა. დღეს ჩვენი სათაყვანებელი დიდი ადამიანი 75 წლისაა... ამ წლების მანძილზე მან თავისი მხრებით ზიდა არა ერთი ადამიანის ცხოვრების ტვირთი, არამედ მილიონობით ადამიანთა საფიქრალიც, საზრუნავიც, სახნავიც, სათესიც, მოსამკელიც და დასაბინავებელიც, მთელი მსოფლიოს კეთილი ადამიანების ჭირი და ლხინი. მას იმედის თვალით შეჰყურებს მთელი მშვიდობისმოყვარე სამყარო, როგორც მსოფლიოს მშრომელ ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ბედროშეს, მათი ახალი სანუკვარი ცხოვრების დიდ მშენებელს.

ქართული მრავალჟამიერი მის სიცოცხლეს...

შალვა თათარაშვილი,
მცირემიწელი, სსრ კავშირის სახალხო განათლების წარჩინებული.

საიუბილეო გამოცემა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 75 წლისთავისათვის გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" გამოუშვა წიგნების საიუბილეო კომპლექტი, რომელშიც შევიდა „მცირე მიწა", „აღორძინება", „ყამირი" და „მოგონებანი". საიუბილეო გამოცემის ტირაჟია ორი ათასი ეგზემპლარი. (საქინფორმი).

სურათზე: ლ. ი. ბრეჟნევის წიგნების საიუბილეო გამოცემანი.

თეორიული კონფერენცია

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა მოაწყო ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოების „მოგონებებისადმი" მიძღვნილი თეორიული კონფერენცია.

კონფერენციის მონაწილეებმა — პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებმა, ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების ქსელის პროპაგანდისტებმა ინტერესით მოუსმინეს პარტიულ მუშაკებს, მეცნიერებსა და ჟურნალისტებს, რომლებმაც ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია „მოგონებათა" როლი იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომ სრულყოფაში. ყოველ გამოსვლაში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ახალი შესანიშნავი ნაწარმოების შინაარსი მჭიდროდ უკავშირდებოდა აჭარის იდეოლოგიური აქტივის, ყველა მშრომელის წინაშე დასახულ საარსებო ამოცანებს. (საქინფორმი).

რეპორტაჟი მუზეუმიდან

სიდიადე მეგობრობისა

მეხუთე დღეა, რაც ქალაქ მახარაძეში საზეიმოდ გაიხსნა მე-18 არმიის საბრძოლო დიდების რესპუბლიკური მუზეუმი. არ წყდება დამთვალიერებელთა ნაკადი. მუზეუმის ექსპოზიციების დასათვალიერებლად მოდიან არა მარტო მახარაძელები, არამედ მეზობელი რაიონების წარმომადგენლები, სტუმრები, ტურისტები. ყველანი ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ ეს არის მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლის ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 75 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს მშრომელთა დიდებული საჩუქარი.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ინტერვიუებს პირველ დამთვალიერებლებთან, ამონაწერებს შთაბეჭდილებათა წიგნიდან, რეპორტაჟს მუზეუმიდან.

ი. თავაძე,

ჩოხატაურის რაიონის სოფელ ვანზომლეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი:

ლეგენდარული მე-18 არმიის საბრძოლო დიდების მუზეუმში სხვა ღირსშესანიშნავ მოვლენებთან ერთად ნაჩვენებია 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში გურიაში არსებული პოლიტიკური ვითარება. აქ წარმოდგენილია საბჭოთა ხელისუფლებისათვის გურული გლეხების ბრძოლის ამსახველი ექსპონატები. დამთვალიერებელს ყველაზე მეტად იზიდავს მუზეუმის ის განყოფილება, რომელსაც „კავკასიის დაცვა" ეწოდება. აქ ცენტრალური ადგილი უჭირავს მცირე მიწის ეპოპეას, სადაც თვალნათლივ არის წარმოდგენილი ლეონიდ ბრეჟნევის წიგნის „მცირე მიწის" დოკუმენტური ილუსტრაცია.

ვ. ჯაყელი,

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი:

მახარაძის რაიონს კულტურის კიდევ ერთი დიდებული კერა შეემატა. ქალაქი დაამშვენა მე-18 არმიის საბრძოლო დიდების მუზეუმის ჩინებულმა ნაგებობამ. მუზეუმის ლამაზად გაფორმებული განყოფილებები ბრწყინვალედ ასახავს განსაცდელის ჟამს საბჭოთა ხალხის მტერთან ბრძოლის გმირულ ეპოპეას.

განსაკუთრებით მოსაწონია მცირე მიწის ლეგენდარული ბრძოლების ამსახველი ცალკეული ექსპონატები, რომლებიც ნათლად მოწმობს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისა და კონსტანტინე ლესელიძის საბრძოლო მეგობრობას.

ლ. მამულაშვილი,

მცირე მიწის ბრძოლების მონაწილე:

არ შეიძლება მცირემიწელმა კაცმა აუღელვებლად დაათვალიეროს მე-18 არმიის საბრძოლო დიდების რესპუბლიკური მუზეუმი. აქ წარმოდგენილია მარად უკვდავი მასალები. ერთხელ კიდევ თვალწინ დამიდგა 1943 წლის 17 აპრილი... გააფთრებული მტრის ტყვიის ზუზუნში ლეონიდ ბრეჟნევმა და კონსტანტინე ლესელიძემ გადმოლახეს ზღვა გელენჯიკიდან მცირე მიწამდე, მოვიდნენ ჩვენთან, ღამით მოიწვიეს არმიის მეთაურთა და პოლიტმუშაკთა თათბირი. მეორე დღეს კი გაჩაღდა არნახული საჰაერო-სასიცოცხლო ბრძოლა. იგი დამთავრდა გმირ მცირემიწელთა გამარჯვებით.

სტრიქონები შთაბეჭდილებათა წიგნიდან

მომხიბვლელი და შთამბეჭდავია მუზეუმის ყველა ექსპონატი, რომლებშიც ასახულია დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლები.

ი. რიაბიჩევი,

ქალაქ ტიხორეცკის ომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე.

მომწონს მუზეუმის ყველა განყოფილება, ყველა ექსპონატი, რომლებიც ბრწყინვალედ ასახავს საბჭოთა ხალხის ლეგენდარულ ბრძოლებს პირსისხლიანი ფაშიზმის ასალაგმავად.

ი. კეზერაშვილი,

ამიერკავკასიის საბრძოლო დიდების მუზეუმის დირექტორი.

გულში ჩამწვდომი

მეგობრობა, მშვიდობა! ყველასათვის მახლობელი და საამო სიტყვებია და ქვეყნიერებას კიდით-კიდემდე წვდება. მეგობრობა ბევრგვარია, ვთქვათ მეგობრობა ადამიანთა შორის, მეგობრობა ხალხთა შორის, მაგრამ ბრძოლაში სისხლით ნაწრთობი მეგობრობა სულ სხვაა. ასეთი მეგობრობის შინაარსში ჩაწვდომა უწინარესად თვით ომის ქარ-ცეცხლში გამოვლილ ადამიანებს შეუძლიათ. ამგვარ მეგობრობას ჟამი ვერას აკლებს, იგი ისტორიის კუთვნილება ხდება.

მეგობრობამ და მისმა სიდიადემ მკაფიო გამოხატულება პოვა გამოჩენილი მხედართმთავრის კონსტანტინე ლესელიძის სამშობლოში მე-18 არმიის საბრძოლო დიდების რესპუბლიკური მუზეუმის გახსნით, რომლის ექსპოზიციებში ბრძოლისა და მეგობრობის ამსახველ არაერთ ფოტოდოკუმენტსა და ხელნაწერებს იხილავთ.

დიდი სამამულო ომის ვეტერანთა მახარაძის რაიონული საბჭოსადმი ლ. ი. ბრეჟნევის წერილში ვკითხულობთ „...დიდად გამახარა თქვენმა ინიციატივამ — შეგექმნათ მე-18 არმიის საბრძოლო დიდების მუზეუმი მისი სარდლის, ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის, საბჭოთა კავშირის გმირის კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ლესელიძის სამშობლოში. დარწმუნებული ვარ, რომ მუზეუმი სამსახურს გაუწევს საბჭოთა პატრიოტიზმის, სამშობლოს, კომუნისტური პარტიის მგზნებარე სიყვარულის სულისკვეთებით მშრომელების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს...".

მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლის, თანამედროვეობის უდიდესი პოლიტიკური მოღვაწის ლ. ი. ბრეჟნევის ეს გულში ჩამწვდომი სიტყვები განა იმის მკაფიო დადასტურება არ არის, თუ რას ნიშნავს ბრძოლის ველზე ნაწრთობი მეგობრობა, სისხლით მოპოვებული გამარჯვება. რაოდენ სასიამოვნოა, რომ არავინ და არაფერი არ არის დავიწყებული.

არც ის იყო შემთხვევითი, რომ ეს თვალსაჩინო მოვლენა — მე-18 არმიის საბრძოლო დიდების რესპუბლიკური მუზეუმის გახსნა, დაუკავშირდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 75 წლის თავს...

მუზეუმის შენობა, რომელიც ქალაქის ცენტრშია აგებული, ყურადღებას იპყრობს თავისი არქიტექტურით. რაც შეეხება ექსპოზიციებს, წარმოჩენილს სხვადასხვა განყოფილებებში, წითელ ზოლად გასდევს ომისა და მშვიდობის, იმედისა და გამარჯვების, მეგობრობის, ერთგულებისა და ხსოვნის ამსახველი დოკუმენტები, ილუსტრაციები.

შედიხართ თუ არა მუზეუმში, თვალში გხვდებათ ლ. ი. ბრეჟნევისა და კ. ლესელიძის პორტრეტები, რომელთა ქვემოთ ვკითხულობთ ლ. ბრეჟნევის სიტყვებს — „ჩვენი გამარჯვება კაცობრიობის ისტორიის მაღალი მწვერვალია. მან გვიჩვენა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სიდიადე...".

გვერდს ვერ აუვლით კ. ლესელიძის წერილს მამისადმი, რომელიც დათარიღებულია 1930 წლით. „მე იმედი მაქვს, როგორც ძველი რევოლუციონერი, სათავეში ჩაუდგები კოლექტიურ მეურნეობას და პირველი შენ შეიტან შენს ქონებას კოლექტივში. მაშ ასე, მამაჩემო, გავსწიოთ წინ ახალი გამარჯვებისაკენ". აქვე ვხედავთ ბრეჟნევების ოჯახს დნეპროძერჟინსკში (1930 წ.), კ. ლესელიძის მშობლების პორტრეტებს, სარდლის ოჯახს, პირადათ მას ლუგის პოლიგონზე (1929 წ.).

დიდი ადგილი აქვს დათმობილი განყოფილებას „კავკასიის დაცვა". მოგეხსენებათ, დესანტი მცირე მიწაზე აღიარებულია სამხედრო ხელოვნების ნიმუშად. აქ არ შეიძლება ხაზი არ გაესვას სარდლისა და პოლიტხელმძღვანელის კ. ლესელიძისა და ლ. ბრეჟნევის არა მარტო სამხედრო ხელოვნების ღრმა ცოდნას, ბრძოლის ნოვატორობას, სიმტკიცესა და გამბედაობას, არამედ იმ ადამიანურ ურთიერთობასა და პატივისცემასაც, რომელიც მათ შორის არსებობდა.

ზედმეტი არ იქნება ასეთი ციფრებიც მოვიშველიოთ: მე-18 არმიამ ფიცხელი ბრძოლებით განვლო 2.000 კილომეტრი, 100 ათასი კაცი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, 100 კაცს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ეს ციფრები თავისთავად მეტყველებს იმ გიგანტურ ბრძოლებზე, რომლებიც არმიამ განვლო.

ფართოდ არის წარმოდგენილი სხვა განყოფილებებიც — „ომის დამამთავრებელი ეტაპი", „ხსოვნა გულისა", „მამათა ძმათა ხარ ძლიერი". „ხსოვნა გულისაში" მთავარი ადგილი დათმობილი აქვს მხედართმთავარ კ. ლესელიძის გახსენებას, ლ. ბრეჟნევის როლს სარდლის უკვდავი სახელის უკვდავყოფაში. აქვე ფართოდ არის წარმოდგენილი გმირ მებრძოლთა, ომის ვეტერანთა შეხვედრები, წარსული ბრძოლების ამსახველი ფოტოსურათები.

მთლიანობაში მუზეუმის მასალები მკაფიოდ ასახავენ იმ გულისხმიერ დამოკიდებულებას, რომელსაც ლ. ბრეჟნევი იჩენდა და იჩენს არა მარტო ქართველი მებრძოლებისადმი, არამედ მთელი ჩვენი ხალხისადმი. გავიხსენოთ მისი სიტყვები — „საქართველო — ეს არის დედამიწის თვალწარმტაცი კუთხე, სადაც ცხოვრობს გულღია ხალხი, ოდითგან რომ აფასებს კაცურკაცობას, კეთილშობილებას, შთაგონებულ შრომას, მხედრულ ვაჟკაცობას და ერთგულ მეგობრობას". რაც შეეხება ჯარისკაცურ მეგობრობას, იგი ხომ უღალატოა, მტკიცე, და სიცოცხლის მთელ მანძილზე გაჰყვება ადამიანს.

და როგორც მუზეუმის გახსნის დღეს ქალაქ მახარაძეში გამართულ მიტინგზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ თქვა — „მხოლოდ ნამდვილ მეგობარს, როგორიც იყო სწორედ ლეონიდ ილიას ძე კონსტანტინე ნიკოლოზის ძისათვის, შეუძლია მოიხსენიოს იგი, როგორც ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი, შესანიშნავი მხედართმთავარი, ნიჭიერი, ნებისყოფიანი და ენერგიული არმიის სარდალი, სამშობლოს მამაცი და მედგარი ჯარისკაცი, ჩინებული ადამიანი, რომელიც საბჭოთა ადამიანის საუკეთესო თვისებებს განასახიერებდა და მკაცრი და დაუნდობელი იყო მტრისადმი, კეთილი და გულისხმიერი მეგობრისადმი, იყო სინდისიერი, სიტყვის კაცი, გონებამახვილი, ხალისიანი და გულადი ადამიანი".

ახლა, როდესაც მთელი საბჭოთა ხალხი, მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა ფართოდ აღნიშნავს დიდი სახელმწიფო მოღვაწის, მშვიდობის დაუცხრომელი ქომაგის ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 75 წლის თავს, მე-18 არმიის საბრძოლო დიდების რესპუბლიკური მუზეუმის გახსნა ერთი მკაფიო ფურცელია ამ დიდ ზეიმში.

პირველი დღეები, პირველი დამთვალიერებლები

ვ. გაბელია, ბ. ჩხაიძე,

„კომუნისტის" სპეც. კორ.

სურათზე: მე-18 არმიის საბრძოლო დიდების რესპუბლიკურ მუზეუმში ათვალიერებენ ექსპონატებს.

ვ. ბენბიურის ფოტო.

ყაზახ[...] ჭადრაკის დაფებთან

ლენინგრადში გრძელდება [...] ჭადრაკე ქალთა მსოფლიო [...] პიონატის ზონალური ტურნ[...] შეჯიბრებაზე გაიმართა მე[...] და მეათე ტურები. გთავაზ[...] შედეგებს:

მეცხრე ტური: სემიონოვამ [...] მარცხა ხუგაშვილი, მინ[...] რანიკე, ლ. მუჩნიკ-ეპშტ[...] შეხვედრა ყაიმით დასრუ[...] დანარჩენი პარტიები გად[...] მერვე ტურში გამოტოვებ[...] პარტია ეპშტეინსა და მინ[...] შორის ყაიმით დამთავრდა.

მეათე ტურში ხუგაშ[...] მოუგო კოზლოვსკაიას, [...] დამთავრდა რანიკე-მუჩნიკის, [...] ტროი-მინოგინას შეხვედრები. [...] ნარჩენი პარტიები გადაიდო.

ათი ტურის შემდეგ შეჯ[...] ბას 6-6 ქულით ლიდერობენ [...] ნოგინა და ხუგაშვილი, სემიო[...] ვასა და ტიტორენკოს 5,5-5,5 [...] ლა და ორ-ორი გადადებული [...] რტია აქვთ.

ხუგაშვილს უკანასკნელი [...] ვედრები აქვს ზატულოვსკა[...] თან, ტიტორენკოსა და ეპშტ[...] თან.

ფრუნზეში დასასრულს [...] ლოვდება მოჭადრაკე ვაჟთა [...] საკავშირო ჩემპიონატი. მეთ[...] ხმეტე ტურის შემდეგ მო[...] გადადებული პარტიების და[...] რება. გ. აგზამოვმა (ტაშკ[...]) დამარცხა ე. სვეშნიკოვი ([...] ლიაბინსკი), ვ. კუპრეიჩიკმა ([...] სკი) — ვ. გავრიკოვი (ვილ[...] სი), ს. დოლმატოვმა — [...] პოვი (ორივე მოსკოვი), ა. [...] პოვმა (მოსკოვი) — ვ. ცეშ[...] კი (კრასნოდარი), ყაიმით და[...] ვრდა ო. დორფმან (ლვო[...]) იუდასინის (ლენინგრადი), [...] ვერიკოვ (ვილნიუსი)-გ. კუზ[...] (ვოროშილოვგრადი), გ. იუდ[...] (ლენინგრადი)-ო. რომან[...] (ლვოვი) პარტიები. კვლავ [...] იდო რომანიშინ-აგზამოვის [...] ტია.

მეთხუთმეტე ტურში იუს[...] ვმა დაამარცხა კუზმინი, ბ[...] სკიმ — ცეშკოვსკი, ფსახის[...] კუპრეიჩიკი, სვეშნიკოვმა — [...] დასინი. მიხალჩიშინ-დოლმატ[...] შეხვედრა ყაიმით დამთავ[...] დანარჩენი პარტიები გადაიდ[...]

მეთხუთმეტე ტურის შე[...] ჩემპიონატს ლიდერობს ლ. [...] ხისი 11 ქულა, გ. კასპარ[...] 10,5 ქულა აქვს.

სატურნირო ორბიტა

ფრენზურთი. თბილისის ს[...] ტის სასახლეში დამთავრდა [...] ველი ლიგის საკავშირო ჩემ[...] ნატის მატჩები ფრენბურთელ[...] ქთა გუნდებს შორის. ჩემპიონ[...] ში მონაწილეობდნენ კიშინე[...] არმიელები, ალმა-ათის „დორო[...] კი", თბილისის „სპარტაკისა" [...] ერევნის „დინამოს" გუნდები. [...] ჯიბრებას, რომელიც ორ [...] გაიმართა, უნდა გაერკვია [...] უძლიერესი გუნდი, რომ[...] განაგრძობდა ბრძოლას უმ[...] ლიგაში გადასვლისათვის.

პირველი ადგილი და[...] ალმაათელმა ფრენბურთელ[...] რომელთაც ყველა შეხვედრა [...] იგეს, მეორე ადგილზე 3 ქ[...] გავიდნენ თბილისის „სპარ[...] ლები". 3 ქულა მოაგროვე[...] შინიშელმა ფრენბურთელ[...] მაგრამ ერთმანეთის შორის [...] რთულ მატჩებში უკეთესი [...] ვენებელი თბილისელებს [...] ჩნდათ და ნახევარფინა[...] ისინი გავიდნენ.

შემდეგი ეტაპი გაიმართება [...] ლნიუსში 12-18 იანვარს, [...] რვა გუნდი განაგრძობს ბრძ[...] უმაღლესი ლიგის საგზურის[...]

ჰოკეი. მოსკოვში ლუ[...] სპორტის სასახლეში გრძ[...] ბა ტრადიციული საერთაშო[...] ტურნირი ჰოკეიში გაზეთ „[...] სტიის" პრიზზე. გაიმართა მ[...] ტურის მატჩები: სსრ კავ[...] ნაკრებმა ანგარიშით 2:1 და[...] ცხა ჩეხოსლოვაკიის ნაკ[...] ხოლო ფინეთის ნაკრებმა მ[...] შვეციის ნაკრებს — 6:2.

ტურის შემდეგ 4 ქულით პი[...] ადგილზეა სსრ კავშირის ნაკ[...] მეორეზე ფინეთის ნაკრები — [...] ქულა, თითო ქულა მოაგრ[...] ჩეხოსლოვაკიისა და შვეციის [...] ნდებმა.

ფაქტები □ მოვლენები □ კომენტარი □ გამოხმაურება

თანამიმდევარი მარქსისტ-ლენინელი

პროგრესული კაცობრიობა ფართოდ და საზეიმოდ აღნიშნავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 75 წლის თავს. მსოფლიოს ბევრი ქვეყნიდან მოდის ცნობები ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი მიტინგებისა და გამოფენების, კონფერენციებისა და სპეციალური პუბლიკაციების შესახებ.

● ლაოსი

ვიენტიანი. ლენინისა და დიდი ოქტომბრის საქმის შესანიშნავ განმგრძობს, საბჭოთა ხალხის ერთგულ შვილს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოსა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეს, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლ თანამიმდევარ მარქსისტ-ლენინელს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს — 75 წელი შეუსრულდა, წერს ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „სიენგ პასასონი".

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის დაუცხრომელი და ნაყოფიერი მოღვაწეობა, წერს შემდეგ გაზეთი, — სამშობლოს, ლენინური პარტიის, კომუნიზმის საქმის უსაზღვრო ერთგულების დიდებული მაგალითია. მისთვის მინდობილ ყველა პარტიულ და სახელმწიფო პოსტზე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ყოველთვის პირნათლად ამართლებდა დიდ ნდობას. მისი უშრეტი ენერგიის, პარტიული პრინციპულობის და საბჭოთა ხალხის ცხოვრებასთან განუყრელი კავშირისათვის მას უდიდეს პატივს სცემს ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი ხალხი.

● აშშ

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებულ შტატებში გამომავალი ჟურნალის „სოვიეტ ლაიფის" დეკემბრის ნომრის გარეკანს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ფოტოსურათი ამშვენებს. ჟურნალი აქვეყნებს ლ. ი. ბრეჟნევის მოკლე ბიოგრაფიას, რომელიც უხვად არის ილუსტრირებული გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპის ამსახველი მრავალრიცხოვანი ფოტოსურათებით.

ჟურნალის ამ ნომერმა ამერიკელ მკითხველებს განსაკუთრებული ინტერესი აღუძრა.

● პორტუგალია

ლისაბონი. პორტუგალიის დედაქალაქში გაიმართა ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სალამო.

შეკრებილთა წინაშე გამოსვლისას „პორტუგალია-სსრ კავშირის" საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ ლ. მ. დეშ სანტუშმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელის სახელსა და მოღვაწეობას პროგრესული კაცობრიობა უკავშირებს სსრ კავშირის გრანდიოზულ მიღწევებს კომუნიზმის მშენებლობაში, მშვიდობისათვის, განიარაღებისათვის, დაძაბულობის შენელებისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის ბრძოლაში.

საზოგადოების შტაბ-ბინაში მოწყობილია ლ. ი. ბრეჟნევის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოგამოფენა. ცალკეულ სტენდებზე წარმოდგენილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის ნაშრომები, მათ შორის „მცირე მიწა", „აღორძინება" და „ყამირი", რომლებიც ითარგმნა პორტუგალიურ ენაზე და ქვეყნის საზოგადოებრიობის უდიდესი ინტერესი გამოიწვია.

● ესპანეთი

მადრიდი. აქ გაიმართა ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის „მოგონებების" წარდგენების ცერემონია. წიგნი ესპანურ ენაზე მასობრივი ტირაჟით გამოუშვა გამომცემლობა „რუბინოსმა". „ეს წიგნი, უსათუოდ დააინტერესებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, ვინც იღვწის დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისათვის, გარკვეული ძალების იმ ცდების წინააღმდეგ, რომ გააჩაღონ ახალი მსოფლიო ომი, — განაცხადა გამომცემლობის დირექტორმა ანტონიო რუბინოსმა.—ამ წიგნის შინაარსი ადასტურებს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელის თავდადებულ სამსახურს პროგრესის, დაძაბულობის შენელების, უშიშროებისა და თანამშრომლობის განმტკიცების კეთილშობილური იდეალებისადმი".

● ფილიპინები

მანილა. საბჭოთა კავშირის საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებათა კავშირის დელეგაციის მიღებისას ფილიპინების პრეზიდენტმა ფერდინანდ მარკოსმა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელს გადასცა გულითადი მილოცვა და ჯანმრთელობის სურვილი დაბადების 75 წლის თავთან დაკავშირებით.

მან კმაყოფილებით აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წამოყენებული საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად გამიზნული ახალი სამშვიდობო ინიციატივები და მაღალი შეფასება მისცა ლ. ი. ბრეჟნევის უდიდეს პირად წვლილს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისა და ომის თავიდან აცილების საქმეში.

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ლედავინის ზურგზე

19 დეკემბერი

ბირთვული ომის წინააღმდეგ

მუშაობა დაამთავრა გენერალური ასამბლეის XXXVI სესიამ

ნიუ-იორკი. მუშაობა დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXVI სესიამ, რომელმაც 130-ზე მეტი საერთაშორისო პრობლემა განიხილა.

წლეულს ფორუმის დელეგატების ყურადღება გამახვილდა, უწინარეს ყოვლისა, ბირთვული ომის მზარდ საფრთხეზე. ამას ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირის წინადადებამ მიეღოთ დეკლარაცია ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილების შესახებ. ამ უდიდესი მნიშვნელობის დეკლარაციის მიღება ყველა იმ მშვიდობისმოყვარე ძალების უდიდესი გამარჯვებაა, რომლებიც უგუნური ბირთვული შეიარაღების, „შეზღუდული" ბირთვული ომის დანაშაულებრივი დოქტრინების წინააღმდეგ ილაშქრებენ.

ამრიგად სასტიკი დამარცხება განიცადეს იმპერიალისტურმა წრეებმა ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, რომლებიც ბირთვული პოტენციალის ზრდის კურსს ადგანან და მას კონფლიქტების გადაწყვეტის მისაღებ საშუალებად მიიჩნევენ.

სესიამ მიიღო აგრეთვე მთელი რიგი მნიშვნელოვანი რეზოლუციები განიარაღების საკითხებზე, რომლებსაც საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებული იდეები და მიზნად ისახავს ამ სფეროში კონკრეტული შედეგების მიღწევას.

ალბანეთიდან იტყობინებიან

სოფია. ალბანეთის სატელეგრაფო სააგენტომ გუშინ გადმოსცა, რომ „18 დეკემბერს ნერვული კრიზისის დროს თავი მოიკლა ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ალბანეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მეჰმედ შეხუმ".

მდგომარეობა პოლონეთში

დანაშაულებრივი ზრახვები

რაზე მეტყველებენ აღმოჩენილი „სოლიდარობის" დოკუმენტები

ვარშავა. „სოლიდარობის" ექსტრემისტული ძალები კოს-კორისა და „დამოუკიდებელი პოლონეთის კონფედერაციის" კონტრრევოლუციურ დაჯგუფებებთან ერთად ხანგრძლივი დროის მანძილზე პოლონეთში სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებდნენ. კონტრრევოლუცია მოქმედებდა წინასწარ შემუშავებული გეგმებით. მათ არსს ავლენს დოკუმენტები და ინსტრუქციები, რომლებიც ვარშავის „სოლიდარობის" შტაბ-ბინაში აღმოაჩინეს. მათ შესახებ იუწყებიან პოლონეთის პრესის სააგენტო და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებანი.

ამ რაიონის „სოლიდარობის" წევრთათვის შემუშავებულ ინსტრუქციაში ნათქვამია: „ჯარისკაცებმა თავიდან უნდა მოიშორონ მეთაურები, თავიანთ მუნდირებს, სატრანსპორტო საშუალებებს, ყაზარმებს გააკრან „სოლიდარობის" ემბლემა. პირველი შესაძლებლობისთანავე ჯარისკაცები იარაღით ხელში უნდა ჩამოსცილდნენ თავიანთ რაზმს და მივიდნენ „სოლიდარობის" უახლოეს ორგანიზაციაში. ანალოგიურად უნდა იმოქმედოს მილიციამაც. სამხედრო წესების გამოცხადების პერიოდში ქვეყნის ტერიტორიაზე ერთადერთი ხელისუფლება „სოლიდარობის" სრულიად პოლონეთის კომისია, მისი პრეზიდიუმი ან თავმჯდომარე".

სხვა დოკუმენტებს შორის არის სამხედრო ობიექტებისა და ჯარის ნაწილების ფოტოსურათები, ინსტრუქციები, თუ როგორ მოიქცნენ საგანგებო წესების პირობებში, როგორ მოაწყონ საგაფიცვო კომიტეტები, დივერსიები, საბოტაჟი, ბრძოლა ხელისუფლებთან თვით სნაიპერული იარაღის გამოყენებით.

იუწყებიან, რომ „სოლიდარობის" დოკუმენტები აღმოაჩინეს აგრეთვე შჩეცინში. ისინი მოწმობენ, რომ კონტრრევოლუციური გადატრიალების დაწყებას აპირებდნენ 17 დეკემბერს. ექსტრემისტებს შედგენილი ჰქონდათ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის წევრთა და სხვა იმ პირთა სიები, რომელთათვისაც უსასტიკესი რეპრესიები უნდა დაეტეხათ თავს გადატრიალების შემდეგ.

„სოლიდარობის" რიგითი წევრების ფართო მასებმა არ იციან, აღნიშნა პოლონეთის რადიომ, თუ ვინ წარმოადგენს მათ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში, უწინარეს ყოვლისა იქ უფროსობენ კოს-კორისა და სხვა ანტისოციალისტური დაჯგუფებების მოღვაწენი.

რადიო ახასიათებს „სოლიდარობის" ერთ-ერთ მთავარ ექსპერტს, აშკარა ანტიკომუნისტს და კოს-კორის წევრს გერემეკს. 1956 წლამდე გერემეკი ეკავა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მეორე მდივნის თანამდებობა ვარშავის უნივერსიტეტში და პარტკომის მდივნისა პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიაში. იგი დადიოდა საზღვარგარეთ, მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა პარიზის მასონურ ლოჟასთან, აგრეთვე კონტრრევოლუციურ ანტიპოლონურ გამოცემა „კულტურასთან".

1968 წელს პოლონეთში სიონისტური პუტჩის ჩახშობის შემდეგ, აღნიშნავს რადიო, მან პარტბილეთი ჩააბარა და მჭიდრო კონტაქტები დაამყარა ქვეყანაში მოქმედ ოპოზიციურ დაჯგუფებებთან. გერემეკი აქტიურად მუშაობდა კოს-კორში, 1980 წელს სანაპიროზე გაფიცვების შემდეგ კი მაზოვეცკისთან ერთად შექმნა „სოლიდარობის" ექსპერტ-ანტიკომუნისტთა დაჯგუფება.

როგორც „ტრიბუნა ლუდუ" წერს, ვარშავის „სოლიდარობის" შტაბ-ბინაში აღმოჩენილი დოკუმენტები ეჭვს არ იწვევენ, რომ პროფგაერთიანების ექსტრემისტული ხელმძღვანელობა მუშათა სახელით ცდილობდა პოლონეთში სოციალისტური წყობილების დამხობას, ექსტრემისტებს აერთიანებდა ერთიანი პოლიტიკური გეზი — ანტიკომუნიზმი.

„სოლიდარობის" ხელმძღვანელობაში აღმოჩნდა სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მრავალი წლის გამოცდილების მქონე ექსტრემისტთა დიდი ჯგუფი.

15 წელზე მეტია ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა ონიშკევიჩი, და მთელი ამ წლების მანძილზე იგი პროპაგანდას უწევდა სახელმწიფოში ძალაუფლების ხელში ჩაგდების ხაზს.

ეს კურსი, წერს „ტრიბუნა ლუდუ", ონიშკევიჩმა შეიმუშავა კურონთან, მიხნიკთან, ვუიცთან, მაჩერევიჩთან — კოს-კორის ძირგამომთხრელი ორგანიზაციის მეთაურებთან ერთად, კურონი ბევრი ანტისოციალისტური ოპერაციის ხელმძღვანელია. ჯერ კიდევ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დროს იგი აშკარად გადავიდა ტროცკისტულ პოზიციებზე. 1965 წლიდან კურონი გახდა ანტისახელმწიფოებრივი და ანტისოციალისტური ოპოზიციის პროფესიონალი მოღვაწე.

„გაზეტა პომორსკა", რომელიც ტორუნში გამოდის, წერს, რომ ბიდგოშჩის „სოლიდარობის" შენობაში აღმოაჩინეს დიდძალი სურსათი, ბენზინი, რომლებსაც, როგორც გაზეთი აღნიშნავს, „აგროვებდნენ გამოსვლებისათვის".

„სოლიდარობის" სრულიად პოლონეთის კომისიის პრეზიდიუმის რადომის სხდომის შემდეგ, წერს „გაზეტა პოზნანსკა", ცხადი გახდა, რომ პროფგაერთიანების ხელმძღვანელობა ესწრაფვოდა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო სტრუქტურების დამხობას. უკვე აღარ იყო ეჭვი, რომ კონფრონტაციის კურსი დიდი ხნის წინათ დაისახა, რომ „სოლიდარობის" ხელმძღვანელობა მრავალი წლის განმავლობაში ხალხს უმალავდა თავის ნამდვილ ზრახვებს.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინ[...] თა საბჭომ ამხ. მ. ა. ჭუმბ[...] დანიშნა საქართველოს სსრ [...] ჭრობის მინისტრის პირველ [...] დგილედ და გაათავისუფლ[...] რესპუბლიკის ვაჭრობის მინ[...] რის მოადგილის მოვალეობის[...]

რედაქტორი
გ. ბედინეიშვი[...]

საქართველოს სსრ მე[...] ნიერებათა აკადემიის პრ[...] ზიდიუმი ღრმა მწუხარებ[...] იუწყება, რომ გარდაიც[...] ლა საქართველოს სსრ მე[...] ნიერებათა აკადემიის იურ[...] დიული განყოფილების უ[...] როსი, საქართველოს ს[...] დამსახურებული იურის[...]

ბრიგოლ ხამსონის ძე ბიჭაძე

და სამძიმარს უცხად[...] განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კომპარტ[...] ის ტყიბულის საქალ[...] კომიტეტი და ტყიბულ[...] პარტიის ვეტერანთა სა[...] ლაქო საბჭო მწუხარებ[...] იუწყებიან, რომ გარდაი[...] ვალა პარტიისა და შრომ[...] ვეტერანი, პერსონალუ[...] პენსიონერი

მარიამ პეტრეს ასულ[...] ბუზაშვილი

და სამძიმარს უცხად[...] განსვენებულის ოჯახს.

● ესპანეთი

მიენიჭა ავტონომია

მადრიდი. დეპუტატთა კონგრესში — ესპანეთის პარლამენტის ქვედა პალატაში — რატიფიცირებულ იქნა სტატუსი ანდალუზიის ავტონომიის შესახებ. ეს ერთ-ერთი უდიდესი ისტორიული ოლქია ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

ამრიგად, ანდალუზია ესპანეთის მეოთხე ოლქია (ბასკეთის, კატალონიისა და გალიციის შემდეგ), რომელმაც ავტონომია მიიღო. ამიერიდან მას ექნება თავისი პარლამენტი, ეყოლება თავისი მთავრობა, რომლის კომპეტენციაში შევა რეგიონალური ხასიათის საკითხების გადაწყვეტა, შეიქმნება აგრეთვე ად[...]ობრივი პოლიცია და სასამარ[...]ო ორგანოები.

სსრ კავშირი-დანია

დანია. სსრ კავშირსა და დანიას შორის ფართოვდება ნაყოფიერი თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში. დიდად პოპულარულია დანიაში საბჭოთა ტრაქტორი „ბელარუსი", რომელსაც ამ ქვეყნის ბაზარზე ყიდის დანია-საბჭოთა კავშირის საზოგადოება „დანბელარუსი".

სურათზე: საზოგადოების ერთ-ერთ დარბაზში.

სახდესის ფოტო.

● საფრანგეთი

რეზოლუცია უარყვეს

პარიზი. საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ უარყო მთავრობისადმი უნდობლობის რეზოლუცია, რომელიც ოპოზიციამ შეიტანა. მას ხმა მისცა მხოლოდ 151-მა დეპუტატმა, მაშინ როცა მის მისაღებად საჭიროა სულ ცოტა 246 ხმა.

მემარჯვენე ოპოზიცია უკვე მესამეჯერ ცდილობს მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმის გამოტანას, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი არ ეთანხმება მის პოლიტიკას ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებში.

● პაკისტანი-ინდოეთი

დისკრიმინაციული აქცია

დელი. ინდოეთმა უკმაყოფილება გამოთქვა პაკისტანისადმი დისკრიმინაციული აქციის გამო, რომელიც პაკისტანის ხელისუფლებამ განახორციელა ისლამაბადში ინდოეთის ელჩის ნატვარ სინგჰას მიმართ. როგორც გაზეთი „ნეშნლ ჰერალდი" იუწყება, ინდოელ დიპლომატს უარი უთხრეს მოგზაურობაზე ქვეყანაში, კერძოდ, ჩრდილო-დასავლეთ სასაზღვრო პროვინციაში, რის გამო პაკისტანის ელჩს დელიში განუცხადეს, რომ ეს არამეგობრული აქტი ეწინააღმდეგება პაკისტანის მიერ სიმლაში მიღწეული ორმხრივი შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს.

ადგილობრივი მეთვალყურენი ყურადღებას მიაქცევენ იმას, რომ ნატვარ სინგჰას, კერძოდ, აუკრძალეს ფეშევარში ჩასვლა, სადაც განლაგებულია ანტიაველანელ ბანდიტთა შენაერთების მრავალრიცხოვანი ბანაკი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434   უე 15467   საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. ტელეფაქს „ოფსეტური ფილმით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.   1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20